2. ძირითადი სახელური ფრაზის სემანტიკური ბუნება,
3. მწკრივი,
4. წინადადების ტიპი.

ქართულში, დასახელებული ფაქტორებიდან, მინიმუმ სამი ფაქტორი ერთდროულად მოქმედებს. მაგალითად, კონტროლირებული მოქმედების ზმნები (მაგ., *იძუშავა*) განსხვავდება კონტროლის არმქონე ზმნებისგან (მაგ., *დაეცა*), რაც ბრუნვით გაყოფას იწვევს სხვადასხვა სერიებში.

პირის ნაცვალსახელთა ქცევა ზმნასთან შეთანხმების თვალსაზრისით, კიდევ ერთ მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს. დიქსონი (1994) ამტკიცებს, რომ ქართულში პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები ბრუნვაუცვლელია, რაც, ერთი მხრივ, სიმართლეს შეეფერება. თუმცა, ქართული ენის ეროვნული კორპუსის მონაცემები ცხადყოფს, რომ ამ ფენომენის უფრო სწორი კვალიფიკაცია იქნებოდა **ბრუნვათა სინკრეტიზმი**. მართალია, პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები სუბიექტისათვის დასაშვებ ყველა ბრუნვაში იდენტური ფორმით რეალიზდება, მაგრამ ჩანართის სახით რეალიზებული აპოზიციები საჭირო ბრუნვას გვიჩვენებს, რაც ნაცვალსახელთა ფარულ (მორფოსინტაქსით განპირობებულ) ბრუნვის ნიშანს გამოააშკარავებს. მაგალითად, კონსტრუქციებში „*მე, ადვოკატს...*“ ნათლად ჩანს, რომ ნაცვალსახელი „*მე*“ შეფარულ ბრუნვას აპოზიციისა და ზმნასთან ბრუნვაში შეთანხმების ფორმით ამჟღავნებს. ამდენად, პირის ნაცვალსახელთა იერარქია ქართულში ვერ განიხილება, როგორც გახლეჩილი ერგატიულობის განმაპირობებელი ფაქტორი — განსხვავებით ღირბალისგან.

მეორე რელევანტური ფაქტორი არის ზმნით გადმოცემული კონტროლის სემანტიკა. ნამყოში სუბიექტის ერგატიულ ბრუნვას ზოგიერთი ზმნის შემთხვევაში კონტროლის კატეგორია განაპირობებს, მაშინ როდესაც სხვა ზმნებთან — არა. მაგალითად, ზმნები, როგორიცაა *ჯდომა* („დაჯდა“), *წოლა* („დაწვა“) და *დასვენება* („დაისვენა“), კონტროლის მქონე ზმნებად არის მიჩნეული, თუმცა მხოლოდ *დასვენება* მართავს სუბიექტს მოთხრობით ბრუნვაში. ეს მაგალითი ნათლად აჩვენებს, რომ

კონტროლის მქონე ზმნები, სუბიექტთან ბრუნვაში შეთანხმების თვალსაზრისით არაერთგვაროვნებას გვიჩვენებენ.

მიუხედავად იმისა, რომ შანიძისა და ჰოლისკის კლასიფიკაციები დღემდე ფუნდამენტურ საყრდენს წარმოადგენს ქართული ენის გახლეჩილი ერგატიულობის საკვლევადა, ცხადია, რომ ქართულში დადასტურებულ ერგატიულობის თავისებურებას მხოლოდ ზმნის გარდამავლობა-გარდაუვლობით (იხ. შანიძე) ვერ ავსხნით; აქ გვარისა და ასპექტის ნიუანსური განსხვავებები გადამწყვეტ როლს ასრულებს. საკითხს ვერც ჰოლისკის მიერ (1981) კლასიფიკაციის გაფართოება აწესრიგებს (მედიაოპტიკების გაერთიანება I კლასის ქვეჯგუფში, გარდამავალ და აქტიურ ზმნებთან ერთად). მიუხედავად იმისა, რომ ეს ზმნები გარდაუვალ ზმნებს მიეკუთვნებიან, მედიაოპტიური ზმნები, გარდამავალი ზმნების მსგავსად, აწმყოში სუბიექტს სახელობით ბრუნვაში, ხოლო ობიექტს მიცემით ბრუნვაში შეიწყობენ, ნამყოში - სუბიექტს ერგატიულ, ხოლო ობიექტს - სახელობით ბრუნვაში, თურმეობითში კი - გარდამავალი ზმნების მსგავსად, სუბიექტს მიცემით ბრუნვაში შეიწყობენ. სამაგიეროდ, II კლასის სტატიკური ზმნები ინარჩუნებენ სუბიექტს სახელობით ბრუნვაში ყველა სერიაში; III კლასის ზმნები, რომლებიც გრძნობა-აღქმის ზმნებს (*verba sentiendi*) აერთიანებენ, ზმნით გადმოცემული ლოგიკურ სუბიექტს, რომელიც მორფოლოგიურად ობიექტური პირის ნიშნით არის მარკირებული ზმნაში) მიცემით ბრუნვაში შეიწყობენ, ხოლო გრძნობა-აღქმის თემას ლოგიკურ ობიექტს, რომელიც ზმნაში სუბიექტური პირის ნიშნით არის მარკირებული) სახელობით ბრუნვაში მოითხოვენ; IV კლასის ზმნები (ეგზისტენციური ზმნები) ხშირად მიცემით ბრუნვაში შეიწყობენ სუბიექტს.

ჰოლისკის არგუმენტები ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ ამ ტიპის ზმნები ვერ ჩაითვლება უბრალოდ „არარეგულარულ“ ზმნებად: მათ მიერ წარმოებული შერეული პარადიგმები გარდამავალ ზმნებთან ავლენს პარალელებს და გახლეჩილი ერგატიულობის საფუძვლიანი ანალიზისას აუცილებლად გასათვალისწინებელია.

ამრიგად, შანიძის გარდამავლობაზე დაფუძნებული ტიპოლოგიაც და ჰოლისკის კლასებზე დაფუძნებული ანალიზიც ნათლად მიგვანიშნებს იმ არსებით მახასიათებლებზე, რომელიც შეიძლება დაგვეხმაროს იმის დადგენაში, თუ რა განაპირობებს ზმნის აქტანტებთან შეთანხმების ქართულში დადასტურებულ წესებს, სადაც კონსტრუქციათა მონაცვლეობას ერთდროულად განსაზღვრავს გვარი, გარდამავლობა, მწკრივი და სემანტიკური კონტროლი.

წინამდებარე ნაშრომში ნაჩვენებია, რომ ქართული ენა განსაკუთრებულად მდიდარ ემპირიულ მასალას გვიჩვენებს გახლეჩილი ერგატიულობის საკვლევადა, რომელიც ვერ დაექვემდებარება მარტივ ტიპოლოგიურ კატეგორიზაციას. იგი ზმნის მიერ აქტანტების ბრუნვაში მართვის შედეგად წარმოქმნილი განსხვავებული კონსტრუქციების შერევის ნიმუშს წარმოადგენს (მიუხედავად იმისა, რომ სრულად არც

ერთს არ შეესაბამება, ვინაიდან ქართულში არც აკუზატივი და არც აბსოლუტივი, როგორც მორფოლოგიური ბრუნვა, არ არსებობს).

ცხრილში მოცემულია ზმნათა კლასიფიკაცია ვალენტობის მიხედვით და ზმნის მიერ მართული აქტანტების მწკრივებში განაწილება ბრუნვათა მიხედვით:

	სუბიექტი		პირდაპირი ობიექტი		ირიბი ობიექტი		ზმნები (აწმყო 3. პირში)
	აწმყო	ნამყო	აწმყო	ნამყო	აწმყო	ნამყო	
ავალენტური	—	—	—	—	—	—	წვიმს
მონოვალენტური	სახ.	სახ.	—	—	—	—	ზის
	მიც.	მოთხ.	—	—	—	—	სძინავს
დივალენტური	სახ.	მოთხ.	მიც.	სახ.	—	—	ამზადებს
	მიც.	მიც.	სახ.	სახ.	—	—	სტკივა
	სახ.	მოთხ.	—	—	მიც.	მიც.	უმზერს
	მიც.	მიც.	—	—	ნათ.	ნათ.	ეშინია
დივალენტური - სპეციალური შემთხვევები	სახ.	სახ.	მიც.	მიც.	—	—	ეფერება
	მიც.	მოთხ.	სახ.	სახ.	—	—	მიჰყავს
	მოთხ.	—	სახ.	—	—	—	იცის
ტრივალენტური	სახ.	მოთხ.	მიც.	სახ.	მიც.	მიც.	ჩუქნის
	სახ.	სახ.	მიც.	მიც.	მიც.	მიც.	ჰპირდება

ცხრილში წარმოდგენილი ზმნის ვალენტობის კლასიფიკაცია და ზმნასთან შეწყობილ აქტანტთა ბრუნვები ცხადყოფს, სისტემის გახლეჩას ვერ დავეუკავშირებთ მხოლოდ ერთ ფაქტორს – მაგალითად, გარდამავლობას, პირს (I, II ან III), მწკრივს ან კონტროლს. ქართული ენის ეროვნული კორპუსის მონაცემები აჩვენებს, რომ ერგატიულობის ქართული სისტემა უნდა კვალიფიცირდეს, როგორც სისტემათა შერევის უწყვეტი სპექტრი, ვიდრე მკაფიო ბინარული დაყოფა.

მიუხედავად იმისა, რომ ნამყოში ერგატიულ-ნომინატიური და აწმყოში ნომინატიურ-დატიური ნიმუშების კონტრასტი მწკრივების მიხედვით თვალსაჩინოა, კვლევამ აჩვენა, რომ სისტემის გახლეჩას მხოლოდ მწკრივის ფაქტორით ვერ ავხსნით. აქ ასევე გადამწყვეტია ზმნის სემანტიკური ბუნება, კერძოდ, განსხვავება აგენტურ და აღმქმედ/განმცდელ სუბიექტებს შორის, ისევე როგორც კონტროლირებად და არაკონტროლირებად პრედიკატებს შორის.

ზმნათა ზოგიერთი კლასი (მაგ., *verba sentiendi* და ფსევდო-ვნებითები) ინარჩუნებს არაკანონიკური შემთხვევების კვალიფიკაციას მწკრივებსა და სერიებში, რაც საჭიროებს მათ განსაკუთრებულ შესწავლა-კლასიფიკაციას. გარდა ამისა, ზოგიერთ

კოგნიტურ ზმნებთან აწმყოში სუბიექტის ერგატიული ბრუნვის გამოყენება (მაგ.: „მან იცის“) ეჭვქვეშ აყენებს დამკვიდრებულ მოდელებს და ხაზს უსვამს უჩვეულო კონსტრუქციების ახლებურად გააზრების აუცილებლობას.

### დასკვნა

ამრიგად, როგორც სტატიაში წარმოდგენილმა კვლევამ აჩვენა, კონსტრუქციათა შერევა განისაზღვრება მორფოლოგიური ბრუნვის, არგუმენტთა სტრუქტურისა და სემანტიკური როლების ურთიერთქმედებით და არა რომელიმე ცალკეული ფაქტორით.

მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური დასკვნაა ისიც, რომ ქართულისთვის აუცილებელია ზმნის ვალენტური ლექსიკონის შექმნა. ასეთი ინსტრუმენტი დაეხმარებოდა როგორც ლინგვისტებს, ისე ენის შემსწავლელებს კონკრეტული ზმნების შესახებ ზუსტი ინფორმაციის მოძიებაში: რა ტიპის ვალენტობა გააჩნია თითოეულ ზმნას, რამდენ და რა სახის არგუმენტს შეიწყობს იგი, და ზუსტად რომელი ბრუნვის ფორმებია დასაშვები თითოეული აქტანტისთვის სხვადასხვა მწკრივში.

დღეს არსებული ყველაზე ვრცელი და საგულდაგულოდ დამუშავებული ციფრული რესურსის შემთხვევაშიც კი კვლავ გვხვდება მორფოლოგიური ანოტაციისა და სინტაქსური პარსინგის შეცდომები. სპეციალიზებული ვალენტური ლექსიკონი, რომელიც შეიძლება შეიქმნას როგორც თეორიული, ისე კომპიუტერული დამუშავების გზით, დეტალური მანუალური გადამოწმების საფუძველზე, უდაოდ შეუცვლელი რესურსი გახდება როგორც თეორიული, ისე გამოყენებითი ლინგვისტიკისათვის.

კორპუსზე დაფუძნებული კვლევის გარდა, ასევე მნიშვნელოვანია სამომავლოდ კვლევების გაფართოება, რათა დადგინდეს, თუ როგორ იცვლება სისტემათა შერევა დიაქრონიულად და სხვადასხვა რეგისტრში — ქანრული თავისებურებების გათვალისწინებით.

ასევე საჭიროდ მიგვაჩნია ექსპერიმენტული კვლევის ჩატარება ქართული ენის მატარებელთა კომპეტენციის ტესტის საფუძველზე, რომელიც ნათელს მოჰფენს ნებელობის, კონტროლისა და ანიმაციურობის როლს აქტანტთა ბრუნვის არჩევაში.

ქართული ენის და მსგავსი მორფოლოგიურად რთული ენების გახლეჩილი ერგატიულობის ფენომენს შესაძლოა ღრმად ჩავწვდეთ როგორც ტიპოლოგიური, ისე თეორიული თვალსაზრისით, თუ რაოდენობრივი კორპუსლინგვისტური მონაცემები შერწყმული იქნება ხარისხობრივ გრამატიკულ ანალიზთან.

# Rhetorical Questions in the Pre-Election Speeches of Georgian Politicians

Marina Mjavanadze

(Shota Rustaveli Batumi State University)

DOI: <https://doi.org/10.62235/mln.3.2025.9360>

marinamjavanadze1001@gmail.com || ORCID: 0000-0002-0052-2322

**Abstract:** Language is a tool of social communication that is distinct and unique to each individual. One of the most widely used linguistic and expressive means of effective communication is the rhetorical question, which functions as a powerful mechanism of linguistic manipulation. The tendency to use rhetorical questions is particularly evident in mass media, especially in television programs, where speakers deliver ideological messages to viewers and attempt to influence public opinion. Rhetorical questions play a significant role in political discourse, as politicians aim to deliver their message persuasively to the public and gain their support. This paper analyzes the rhetorical questions identified in the pre-election speeches of Georgian politicians – on the one hand, within the context of political discourse, and on the other hand, within the framework of the communicative act. In our research, we took into account both the categories of the speech act – locutionary, illocutionary, and perlocutionary – and the elaboration likelihood theory. We employed traditional research methods, including comparison and contrast, critical analysis, discourse analysis, functional-semantic analysis, as well as structural and linguistic-political analysis. The empirical material consists of rhetorical questions identified in the pre-election speeches of the leaders of the five parties that passed the electoral threshold in the parliamentary elections of Georgia held on October 26, 2024. The research revealed, on the one hand, the motivation of politicians – under what circumstances and for what purposes do the selected politicians use rhetorical questions – and, on the other hand, it describes the structure and components of contexts containing rhetorical questions. The paper represents an attempt to create a methodological framework that can be effectively applied to analyze a relatively under-researched phenomenon in the Georgian language – political rhetoric –and to identify the linguistic strategies employed by politicians within Georgian political discourse.

**Keywords:** Rhetorical Question, Political Speech, Linguistic Manipulation, Georgian Language

## Introduction

In the 21st century, innovative research methods and multidisciplinary approaches to analyzing language as a powerful tool of manipulation have become particularly relevant. One of the most widespread linguistic and expressive means of social communication is the rhetorical question, which serves as an effective instrument of manipulation. The tendency to use rhetorical questions is especially evident in mass media—particularly in television programs—where speakers deliver ideological messages to viewers and attempt to shape public opinion. Rhetorical questions play a significant role in political discourse, as politicians aim to convincingly communicate their messages to the public and gain their support.

As is well known, the structure of a rhetorical question—unlike that of an ordinary interrogative sentence—lacks the primary function of seeking information. It does not require an answer; therefore, such a “question” typically has no real addressee or addresses an abstract or imaginary one. A rhetorical question, as an assertion framed in the form of a question, functions as an indirect speech act that prompts the listener to think and leads to either an

explicit (propositional) or implicit (presuppositional) conclusion. Expressing an opinion in the form of a question adds dynamism to the flow of speech, significantly enhances its expressiveness, and increases its manipulative potential. Depending on the context and speaker's intent, a rhetorical question may serve various functions, including: a) directing thematic focus, b) concealing personal opinion, c) intensifying emotion, d) encouraging reasoning, e) stimulating argumentation, and so on.

### Methodology

The present paper analyzes rhetorical questions identified in the pre-election speeches of Georgian politicians, considering them from two perspectives: within the framework of political discourse and in the context of communicative acts. The research takes the categories of the act of communication into account – locutionary, illocutionary and perlocutionary, as well as the elaboration likelihood theory. Traditional research methods were employed, including comparison and contrast, critical analysis, discourse analysis, functional-semantic analysis, and structural and linguistic-political analysis.

The empirical material consists of rhetorical questions extracted from the pre-election speeches of party leaders whose political parties passed the electoral threshold in the parliamentary elections held on October 26, 2024 (five parties in total). The party leaders analyzed include the Chairman of the Parliament, Shalva Papuashvili, representing the ruling party, and opposition leaders from the following parties: "Coalition for Change – Gvaramia, Melia, Girchi, It's Time" – Nika Gvaramia; "Unity-National Movement" – Tina Bokuchava; "Strong Georgia – Lelo, for the People, for Freedom" – Mamuka Khazaradze; "Gakharia for Georgia" – Giorgi Gakharia.

### Analysis

We selected and analyzed texts containing rhetorical questions in the speeches of the above-mentioned politicians, examining them from both structural and functional perspectives. The Tables below present the components identified through the structural analysis and describe the form and type of their linguistic realization. This contextual analysis reveals the linguistic strategies and communicative goals employed by the politicians.

Component	Form of linguistic realization	Type of linguistic realization
1. Initiating a topic	Interrogative sentence	Full linguistic realization
2. Expanding on a topic	List of facts	Subordinate clauses
3. Evidence	Marked argumentative structure (when ... then ...)	Discontinuous linguistic realization
4. Rhetorical question 1	Question based on presupposition	Full linguistic realization
5. Rhetorical question 2	Question of an ethical-moral nature	Full linguistic realization
6. Naming the addressees of criticism	Non-explicit list (implied reference)	Full linguistic realization
<b>Goal:</b>	<b>Discrediting opponents</b>	<b>Achieved</b>

Table 1: Structural Analysis and Linguistic Strategies of Shalva Papuashvili's Quotation



<b>Component</b>	<b>Form of linguistic realization</b>	<b>Type of linguistic realization</b>
1.Rhetorical question	Question based on a pseudo-fact	Full linguistic realization
2.Introducing a topic	Assumption wrapped in the form of a fact	Full linguistic realization
3.Assessment	Sentences with a persuasive function and a mentoring tone	Full linguistic realization
4.Prediction	Sentence with a perlocutionary function	Subordinate clause
<b>Goal:</b>	<b>Discrediting the CEC</b>	<b>Achieved</b>

Table 2: Structural Analysis and Linguistic Strategies of Nika Gvaramia's Quotation

<b>Component</b>	<b>Form of linguistic realization</b>	<b>Type of linguistic realization</b>
1.Rhetorical question	Interrogative sentence	Full linguistic realization
2.Offering a choice	Contrastive sentences	Subordinate clauses
3.Appeal	Perlocutionary sentence	Full linguistic realization
<b>Goal:</b>	<b>Instilling fear in society</b>	<b>Achieved</b>

Table 3: Structural Analysis and Linguistic Strategies of Tina Bokuchava's Quotation

<b>Component</b>	<b>Form of linguistic realization</b>	<b>Type of linguistic realization</b>
1.Introducing a topic	List of facts	Full linguistic realization
2. (Negative) Assessment	Sentence expressing a perlocutionary function	Full linguistic realization
3.Rhetorical question	a) Question asked with the function of initiating a topic	Full linguistic realization
	b) Explicitly realized criticism	Full linguistic realization
<b>Goal:</b>	<b>Discrediting the ruling party</b>	<b>Achieved</b>

Table 4: Structural Analysis and Linguistic Strategies of Mamuka Khazaradze's Quotation

<b>Component</b>	<b>Form of linguistic realization</b>	<b>Type of linguistic realization</b>
1.Rhetorical question	Question posed with the function of encouraging reasoning	Full linguistic realization
2.Assumption	Explicitly expressed criticism	Full linguistic realization
3.Rhetorical question	a) Concluding question	Full linguistic realization
	b) Sentence containing parallel structure (repetition) (hypophora)	Full linguistic realization
<b>Goal:</b>	<b>Instilling nihilism in society</b>	<b>Achieved</b>

Table 5: Structural Analysis and Linguistic Strategies of Giorgi Gakharia's Quotation

## Discussion

As a result of the functional-semantic analysis of rhetorical questions used by selected politicians, a variety of means of linguistic realization was revealed. In particular, in the studied fragments, politicians use rhetorical questions, argumentation, parallel structures (repetitions), contrast, hypophora, lexical means for manipulative purposes. Both central and peripheral ways of persuasion were revealed in the speeches of politicians, in particular, Shalva Papuashvili, Tina Bokuchava and Mamuka Khazaradze use both rational and emotional influence strategies, while Nika Gvaramia and Giorgi Gakharia prefer the peripheral way of persuasion and are oriented towards emotional influence on the listener.

The structural analysis revealed that in the analyzed contexts, rhetorical questions are used both at the beginning of the speech to initiate the topic, and after the topic is introduced, to expand on what is being said and to enhance its expressiveness. A comparative analysis of the linguistic strategies used by politicians is presented in the form of the Table below.

<b>Shalva Papuashvili</b>	<b>Nika Gvaramia</b>	<b>Tina Bokuchava</b>	<b>Mamuka Khazaradze</b>	<b>Giorgi Gakharia</b>
Initiating a topic	<b>Rhetorical question</b>	<b>Rhetorical question</b>	Introducing a topic	<b>Rhetorical question</b>
Expanding on a topic	Introducing a topic (accusation)	Offering a choice	Negative assessment	Assumption
Evidence	Assessment	Appeal	<b>Rhetorical question</b>	<b>Rhetorical question</b>
<b>Rhetorical question 1</b>	Prediction			
<b>Rhetorical question 2</b>				
Naming the addressee(s) of the criticism				

Table 6: Comparative-contrastive analysis of linguistic strategies

### Conclusion

The research showed that, in the case of two politicians – Nika Gvaramia and Tina Bokuchava – rhetorical questions are used at the very beginning of the speech fragment to introduce the topic. In contrast, Mamuka Khazaradze and Shalva Papuashvili use rhetorical questions in the middle of their speeches to expand on the topic. Giorgi Gakharia, however, uses rhetorical questions both at the beginning of the speech to initiate the topic and when transitioning to a new topic, which significantly enhances the persuasive effect and lays a strong foundation for effective communication with the audience.

The material we have studied shows that rhetorical questions enable politicians to introduce the topic and/or expand their views using a question-and-answer format. After posing a question, politicians often use hypophora to explicitly or implicitly express personal opinions, appeals, assumptions, or predictions. In pre-election speeches, this approach helps to foster discussion, stimulate debate, and facilitate logical transitions between opinions, thereby creating a strong foundation for effective communication between politicians and citizens.

The study of rhetorical questions in political discourse is likely to remain an active area of research in the future, as the topic is multifaceted and compelling in many respects. Our goal is to contribute to the analysis of how rhetorical questions are used in political speech, which, in turn, lays the groundwork for a more comprehensive study of political rhetoric.

# რიტორიკული შეკითხვები ქართველ პოლიტიკოსთა წინასაარჩევნო გამოსვლებში

მარინა მუჟანაძე

(შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

DOI: <https://doi.org/10.62235/mln.3.2025.9360>

marinamjavanadze1001@gmail.com || ORCID: 0000-0002-0052-2322

## შესავალი

ენა არის სოციალური კომუნიკაციის ინსტრუმენტი, რომელიც თითოეული ინდივიდისთვის განსხვავებული და უნიკალურია. ყოველი ადამიანი ზეპირ თუ წერით მეტყველებაში სხვადასხვა საშუალებით ცდილობს ენის საკომუნიკაციო და ექსპრესიული ფუნქციების ინდივიდუალურად გამოყენებასა და გაუმჯობესებას. ეფექტური კომუნიკაციის ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებაა რიტორიკული შეკითხვა, რომელიც ენობრივი მანიპულაციის მძლავრ მექანიზმს წარმოადგენს. რიტორიკული შეკითხვის გამოყენების ტენდენცია განსაკუთრებით თვალსაჩინოა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, კერძოდ, სატელევიზიო გადაცემებში, საიდანაც გამომსვლელები იდეოლოგიურ გზავნილებს აწვდიან მაყურებლებს და ცდილობენ საზოგადოებრივ აზრზე ზეგავლენის მოხდენას. რიტორიკულ შეკითხვებს განსაკუთრებული როლი აქვს პოლიტიკურ დისკურსში, რამდენადაც სწორედ პოლიტიკოსების მიზანია სათქმელის დამაჯერებლად მიტანა საზოგადოებამდე და მათი მხარდაჭერის მოპოვება. ამდენად, პოლიტიკოსთა გამოსვლის ტექსტები ხშირად არის მედიისა და საზოგადოების განხილვის ობიექტი როგორც შინაარსის, ასევე ფორმისა და ფუნქციის თვალსაზრისითაც.

რიტორიკული შეკითხვა (რიტორიკა - ძვ. ბერძნ. ῥητορικὴ (τέχνη), *rhētorikḗ* (téchne) - მეტყველების, სიტყვის ხელოვნება) კითხვის ფორმით გამოხატულ მტკიცებას წარმოადგენს. რიტორიკული შეკითხვის სტრუქტურა, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი კითხვითი წინადადების სტრუქტურას ჰგავს - შეიცავს კითხვით სიტყვებსა და ნაწილაკებს ან შესაძლოა წარმოდგენილი იყოს კითხვითი სიტყვების გარეშეც. თუმცა რიტორიკული შეკითხვის სტრუქტურა დაცლილია თავისი ძირითადი, კითხვის გამოხატვის ფუნქციისაგან, არ მოითხოვს პასუხს,

ამიტომაც ამგვარ „კითხვას“ ადრესატი არ მოეპოვება ან ირეალური, აბსტრაქტული ადრესატი ჰყავს. ქართულ ენაში დამკვიდრებული არაერთი ფიცის ფორმულა, ანდაზა, ფრაზა, ჩართული სიტყვა-თქმა წარმოშობით რიტორიკული შეკითხვებია (რა თქმა უნდა, რასაკვირველია, რა შუაშია, რა ვიცი და სხვ.) (აფრიდონიძე 1998:194-206).

რიტორიკული შეკითხვა არის ირიბი მეტყველების აქტი, რომელიც აზროვნებისაკენ მიმართავს მსმენელის გონებას და მიჰყავს გამოთქმული (პროპოზიციული) ან წინასწარ განსაზღვრული (პრესუპოზიციური) მოსაზრებისაკენ. კითხვის ფორმით აზრის გამოსატვა დინამიკურობას სძენს მეტყველების ნაკადს, მკვეთრად აუმჯობესებს სათქმელის ექსპრესიულობასა და მსმენელზე მანიპულაციის ხარისხს. კითხვითი წინადადება შესაძლოა წარმოადგენდეს როგორც მტკიცებას, ასევე, უარყოფას, ბრძანებას, პროტესტს, ირონიას და სხვ. შესაბამისად, რიტორიკულ შეკითხვას აქვს სხვადასხვა ფუნქცია კონტექსტისა და მიზნების გათვალისწინებით: ა) თემატური ფოკუსირება, ბ) პირადი აზრის შეფარვა, გ) ემოციის გაძლიერება, დ) მსჯელობის წახალისება, ე) არგუმენტების სტიმულირება და სხვ. წინამდებარე კვლევის მიზანია, გავაანალიზოთ ქართველ პოლიტიკოსთა წინასაარჩევნო გამოსვლებში რიტორიკული შეკითხვების გამოყენების შემთხვევები და დავადგინოთ მათი გამოყენების მნიშვნელობა დისკურსში, კერძოდ, რა კატეგორიის საკომუნიკაციო აქტს ქმნის რიტორიკული შეკითხვა დისკურსში - ლოკუციურს, იდლოკუციურს თუ პერლოკუციურს. ასევე, შევაფასოთ, რა კომპონენტებისაგან შედგება რიტორიკული შეკითხვების კონტექსტი და დარწმუნების რომელ გზას ანიჭებენ უპირატესობას ქართველი პოლიტიკოსები: ცენტრალურს თუ პერიფერიულს.

### მეთოდოლოგიური ჩარჩო

სტატიაში განვიხილავთ რიტორიკული შეკითხვის, როგორც მანიპულაციის ენობრივი საშუალების, სტრუქტურას ქართულ პოლიტიკურ დისკურსში, კერძოდ, ქართველ პოლიტიკოსთა წინასაარჩევნო გამოსვლებში. შესაბამისად, შევეცდებით რიტორიკული შეკითხვები გავაანალიზოთ, ერთი მხრივ, პოლიტიკური დისკურსის კონტექსტში, მეორე მხრივ კი, საკომუნიკაციო აქტის კონტექსტში.

საკომუნიკაციო აქტს რამდენიმე ნიშანი გააჩნია:

1. საკომუნიკაციო აქტი არის კონკრეტულ დროსა და კონკრეტულ სივრცეში მოცემული ერთჯერადი პროცესი.

2. საკომუნიკაციო აქტი არის დინამიკური პროცესი.

3. საკომუნიკაციო აქტში მონაწილე აქტიორების ქმედებას ახასიათებს კონტროლი და ნებელობა (თანდაშვილი 2016:157-161).

შესაბამისად, კვლევისას გავითვალისწინებთ პოლიტიკოსთა მეტყველებაში რიტორიკული შეკითხვების გამოყენების ადგილსა და დროს, ისევე როგორც ნებელობის ფაქტორს.

საკომუნიკაციო აქტი, იმისდა მიხედვით, რა მიზანს ემსახურება, შეიძლება გადმოცემული იყოს ა) ნეიტრალური პროპოზიციით, ბ) მოიცავდეს არგუმენტაციურ სტრუქტურებს ან მოწოდებას/ბრძანებას. საკომუნიკაციო აქტის თეორიის შემქმნელი, ბრიტანელი ფილოსოფოსი ჯონ ოსტინი საკომუნიკაციო აქტის სამ კატეგორიას განასხვავებს ერთმანეთისგან: ლოკუციურს, ილოკუციურს და პერლოკუციურს (Austin 1962:98-101). პერლოკუციური აქტი შეიძლება გადმოცემული იყოს **ექსპლიციტურად** (ლექსიკურ ან სინტაქსურ-პრაგმატულ დონეზე) ან **იმპლიციტურად** (დისკურსულ ან ლოგიკურ დონეზე). შესაბამისად, ჩვენს კვლევაში რიტორიკული შეკითხვების კატეგორიზაციის დროს გავითვალისწინებთ მიზნის მიღწევის ენობრივი რეალიზაციის ამ პარამეტრსაც.

კვლევისას ასევე გავითვალისწინებთ ელაბორაციული ალბათობის თეორიას (Elaboration likelihood model - ELM), რომელიც **ორმაგი პროცესის თეორიის** პრინციპს ემყარება და აღწერს დამოკიდებულების ცვლილებას საკომუნიკაციო აქტში. ELM გვთავაზობს დარწმუნების ორ მთავარ გზას: **ცენტრალურს** და **პერიფერიულს**. ცენტრალური გზა ითვალისწინებს ადრესატის ინტელექტს და არგუმენტების გამოყენებით ცდილობს მის დარწმუნებას. პერიფერიული გზა კი ადრესატზე ემოციური გავლენის მოხდენაზე არის ორიენტირებული. პოლიტიკოსთა მიერ გამოყენებული რიტორიკული შეკითხვების ანალიზისას განსაკუთრებული ყურადღება იქნება გამახვილებული იმაზე, რომელ სტრატეგიას ირჩევენ პოლიტიკოსები ადრესატთან მიმართებით: რაციონალური დარწმუნების სტრატეგიას, რომელიც ადრესატისაგან ჭეშმარიტ აზროვნებას მოითხოვს, თუ ემოციური ზეგავლენის მოხდენის სტრატეგიას, რომელიც მანიპულაციის ემოციურ ხერხებს იყენებს და ადამიანის ასოციაციური აზროვნების გააქტიურებას ისახავს მიზნად.

ემპირიული მასალის ანალიზისას ასევე გამოვიყენებთ კვლევის ტრადიციულ მეთოდებს: შედარება-შეპირისპირების, კრიტიკული ანალიზის, დისკურს-ანალიზის, ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზის, სტრუქტურული და ლინგვოპოლიტოლოგიური ანალიზის მეთოდებს.

### ანალიზი

წინამდებარე სტატიის კვლევის ობიექტია 2024 წელს ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე 5 პოლიტიკოსის წინასაარჩევნო განცხადებები. შესაბამისად, რიტორიკული შეკითხვების გამოყენების ფუნქციასა და მნიშვნელობას სწორედ ამ ფონზე განვიხილავთ.

საპარლამენტო არჩევნებში, რომელიც 2024 წლის 26 ოქტომბერს ჩატარდა საქართველოში, 18 საარჩევნო სუბიექტი მონაწილეობდა. ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემების (ცესკო) მიხედვით, კანონმდებლობით დადგენილი ბარიერი (5%) მხოლოდ 5-მა სუბიექტმა გადალახა<sup>1</sup>:

№	პარტიის სახელი	მიღებული ხმების რაოდენობა	%	მიღებული მანდატების რაოდენობა
4	„კოალიცია ცვლილებისთვის - გვარამია, მელია გირჩი, დროა“	229161	11.03%	19
5	„ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობა“	211216	10.17%	16
9	„ძლიერი საქართველო - ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის!“	182922	8.81%	14
25	„გახარია საქართველოსთვის“	161521	7.78%	12
41	„ქართული ოცნება“	1120053	53.93%	89

ცხრილი 1: 2024 წლის არჩევნებში პარტიათა მიერ მიღებული ხმებისა და მანდატების რაოდენობა

სტატიაში განვიხილავთ ბარიერგადალახული 5 საარჩევნო სუბიექტის პარტიული ლიდერების წინასაარჩევნო გამოსვლის ტექსტებში გამოყენებულ რიტორიკულ შეკითხვებს. პარტიული ლიდერები არიან მმართველი პარტიდან - პარლამენტის თავმჯდომარე, ხოლო ოპოზიციური პარტიებიდან - პარტიის თავმჯდომარეები:

<sup>1</sup> <https://cesko.ge/ge/siakhleebi/pres-relezebi/singleview/11035242-tsentrallurma-saarchevno-komisiam-sakartvelos-parlamentis-2024-tslis-26-oktombris-archevnebi-sheajama>

- „ქართული ოცნება“ - შალვა პაპუაშვილი;
- „კოალიცია ცვლილებისთვის – გვარამია, მეღია, გირჩი, დროა“ - ნიკა გვარამია;
- „ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობა“ - თინა ბოკუჩავა;
- „ძლიერი საქართველო – ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის“ - მამუკა ხაზარაძე;
- „გახარია საქართველოსთვის“ - გიორგი გახარია.

კვლევის განხორციელების პირველ ეტაპზე მოვიძიეთ დასახელებული პოლიტიკოსების წინასაარჩევნო გამოსვლები, რომლებშიც გამოვლინდა რიტორიკული შეკითხვების გამოყენების შემთხვევები. საკვლევად ავიღეთ ხუთი პოლიტიკოსის მიერ გამოყენებული რიტორიკული შეკითხვები კონტექსტებთან ერთად (თითო მაგალითი) და განვახორციელეთ მათი ანალიზი კვლევის ტრადიციული და თანამედროვე მეთოდების გამოყენებით.

### ემპირიული მასალის ანალიზი

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი მიზანია ქართველ პოლიტიკოსთა წინასაარჩევნო გამოსვლებში გამოვლენილი რიტორიკული შეკითხვების ფუნქციურ-სემანტიკური და სტრუქტურული ანალიზი, კერძოდ, შევეცდებით გავანალიზოთ, რა შემთხვევაში და რა მიზნით იყენებენ რიტორიკულ შეკითხვებს ჩვენ მიერ შერჩეული პოლიტიკოსები და რა სტრუქტურულ კომპონენტებს მოიცავს რიტორიკული შეკითხვების შემცველი კონტექსტი.

#### I. პარტია „ქართული ოცნება“

მონაცემთა ანალიზს დავიწყებთ მმართველი პარტიის წარმომადგენლის, პარლამენტის თავმჯდომარის, **შალვა პაპუაშვილის** მიერ წინასაარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით წარმოთქმული ტექსტის მონაკვეთით, რომელიც მოიცავს ერთმანეთის თანმიმდევრულად დასმულ ორ რიტორიკულ შეკითხვას:

*„გახსოვთ, რას ითხოვდნენ? რომ სანქციები დაგვეწესებინა და შევერთუბოდით ევროკავშირის სანქციებს, ითხოვდნენ საზღვრების დაკეტვას, ითხოვდნენ ცის დაკეტვას და ა.შ. როცა ითხოვ სანქციებს, როცა ითხოვ სამხედრო მებრძოლების გაგზავნას ომში... რომელმა ქვეყანამ გააგზავნა ოფიციალურად თავისი მოქალაქეები ომში? ჩვენგან რატომ ითხოვდნენ ამ ყველაფერს? აი, ეს იყო ზუსტად, რომ ჩვენ წიხლით გვტყენიდნენ ომში ის თქვენი ტელევიზიების*

*მფლობელები, ის ოპოზიცია, ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ამის ნაწილი იყვნენ*<sup>2</sup>.

მოცემული მონაკვეთი რთული სტრუქტურითა და მრავალფუნქციურობით ხასიათდება, კერძოდ, გამოიკვეთება რამდენიმე კომპონენტი. განვიხილოთ თითოეული მათგანი:

1. **თემის გააქტიურება** - პოლიტიკოსი სასაუბრო თემის გახსნის მიზნით სვამს კითხვას: *„გახსოვთ, რას ითხოვდნენ?“*, რომელსაც შემდეგ თავადვე გასცემს ვრცელ პასუხს, რაც პოლიტიკოსის ერთგვარი სტრატეგიაა, გაააქტიუროს თემა და განავრცოს სათქმელი. მოცემულ მონაკვეთში გამოყენებულ ლინგვისტიკურ ხერხს, ჰიპოფორას პოლიტიკოსი იყენებს ინფორმაციული ნაკადის გასაკონტროლებლად. აღნიშნული სტრატეგია ეფექტური საშუალებაა აუდიტორიის ყურადღების მისაპყრობად და მსჯელობის წასახალისებლად (ცერცვაძე 2021:281-288).
2. **თემის გაშლა** - შემდეგი კომპონენტი წარმოდგენილია რამდენიმეუნიტური დამოკიდებული წინადადების სახით:
  - *რომ სანქციები დაგვეწესებინა,*
  - *შევერთებოდით ევროკავშირის სანქციებს,*
  - *ითხოვდნენ საზღვრების დაკეტვას,*
  - *ითხოვდნენ ცის დაკეტვას და ა.შ.*

მოცემულ მონაკვეთში დასახელებულია მაგალითები, რომლებიც **ნეგატიური შეფასებისთვის** გამოიყენა პოლიტიკოსმა. აღნიშნული ფაქტების მოხმობა მიზნად ისახავს ოპონენტების კრიტიკასა და დისკრედიტაციას. ფაქტების დასახელების შემდეგ გამომსვლელმა არუმენტაციული სტრუქტურის შემცველი წინადადება გამოიყენა, თუმცა არასრული ენობრივი რეალიზაციის სახით:

3. **მტკიცებულება** - *როცა ითხოვ სანქციებს, როცა ითხოვ სამხედრო მებრძოლების გაგზავნას ომში...*

აქ მოცემული ფრაგმენტი არუმენტირებული მტკიცებულების დასაწყისია, რომელიც უნდა გადასულიყო კრიტიკულ შეფასებაში და ჰქონოდა ასეთი სახე: *„როცა სხვისგან ითხოვ რამის გაკეთებას, ჯერ თავად უნდა აჩვენო მაგალითი*

<sup>2</sup> <https://1tv.ge/news/shalva-papushvili-sinamdvlashi-opoziciis-warmomadgenlebs-am-banerebze-isteria-imitom-daemartat-rom-sakutar-danashauls-chakhedes-tvalebshi/>



ან დარწმუნებული უნდა იყო, რომ დადებით შედეგს მოიტანს ეს ქმედება“. გაანალიზებულ კონტექსტში პაპუაში იღმა შეცვალა სტრატეგია და არგუმენტაციული სტრუქტურის ნაცვლად რიტორიკული შეკითხვის ფორმულა გამოიყენა.

4. **რიტორიკული შეკითხვები** - კონტექსტის ამ ნაწილში პოლიტიკოსის სათქმელი ექსპლიციტურად რეალიზდება ერთმანეთის მიყოლებით გამოყენებულ ორ რიტორიკულ შეკითხვაში:

- *რომელმა ქვეყანამ გააგზავნა ოფიციალურად თავისი მოქალაქეები ომში?*
- *ჩვენგან რატომ ითხოვდნენ ამ ყველაფერს?*

**პერიფრაზი:** არცერთმა ქვეყანამ არ გააგზავნა ოფიციალურად თავისი მოქალაქეები ომში და არც ჩვენგან უნდა ითხოვდნენ (ოპონენტები) ამის გაკეთებას.

როგორც მოცემული პერიფრაზიდან ჩანს, პირველი შეკითხვა მიემართება ფაქტს, აქვს კონკრეტული პასუხი და მისი ილოკუციური ფუნქციაა ფაქტის ხაზგასმა - *არავინ, არცერთმა ქვეყანამ არ გააგზავნა თავისი მოქალაქეები (უკრაინის) ომში*. ფაქტის ამგვარი ფორმულირება ლოგიკურად ქმნის მომდევნო შეკითხვის დასმის წინაპირობას. წინა კითხვის ლოგიკური გაგრძელებაა მომდევნო რიტორიკული შეკითხვა - *ჩვენგან რატომ ითხოვდნენ ამ ყველაფერს?* მეორე შეკითხვის ილოკუციური ფუნქციაა საკითხის გადატანა მორალურ ასპექტში, რაზეც ორი ენობრივი ფაქტორი მიუთითებს:

1. პერიფრაზი: თავად არ გაუგზავნიან თავიანთი მოქალაქეები ომში, ამიტომ არ აქვთ (მორალური) უფლება, ჩვენგან მოითხოვონ ეს. რიტორიკულ შეკითხვებში იმპლიციტურად გამოთქმულია კონტრარგუმენტი, კერძოდ (პერიფრაზი): ჩვენგან ითხოვდნენ ომში ჩართვას, მაგრამ, რადგანაც სხვა ქვეყნები არ ერთვებოდნენ ომში, ჩვენგანაც არ უნდა ითხოვდნენ ამას.
2. იმპლიკაციის ექსპლიკაციით გადმოცემა, კერძოდ, წინადადების დისკურსული ნაწილაკით განვრცობის შესაძლებლობა: აბა ჩვენგან რატომ ითხოვდნენ ამ ყველაფერს?

პოლიტიკოსი იყენებს დარწმუნების ორივე გზას: ცენტრალურსაც და პერიფერიულსაც. ითვალისწინებს რა ადრესატის (მიზნობრივი ჯგუფის) ინტე-

ლექტს, პოლიტიკოსი არგუმენტების გამოყენებით ცდილობს მის/მათ დარწმუნებას. დარწმუნების პერიფერიული გზა ადრესატ(ებ)ზე ემოციური ზეგავლენის მოხდენის სტრატეგიის გამოყენებაში ვლინდება, რაც ექსპლიციტურად არის გადმოცემული მომდევნო კომპონენტში - კრიტიკის ადრესატები, სადაც პოლიტიკოსი აძლიერებს ექსპრესიას სათქმელში, ხოლო მსმენელში იწვევს მძაფრ უარყოფით ასოციაციებს.

5. **კრიტიკის ადრესატ(ებ)ი** - რიტორიკული შეკითხვების დასმის შემდეგ პოლიტიკოსი არაექსპლიციტურად ასახელებს კრიტიკის ადრესატებს, რომლებსაც მიემართებათ რიტორიკული შეკითხვებით გამოსატული შეფასებები:

- *ჩვენ წიხლით გვტყნიდნენ ომში ის თქვენი ტელევიზიების მფლობელები,*
- *ის ოპოზიცია,*
- *ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ამის ნაწილი იყვნენ.*

კრიტიკის ადრესატებზე მითითებით გამოიკვეთა გამომსვლელის მიზანი - არგუმენტირებულად, ფაქტებზე დაყრდნობით უპასუხოს კონკრეტული ოპონენტების მხრიდან წაყენებულ მოთხოვნებს/ბრალდებებს და მოახდინოს მათი დისკრედიტაცია ამომრჩეველთა თვალში.

ამრიგად, შალვა პაპუაშვილის წინასაარჩევნო გამოსვლის მოცემულ მონაკვეთში გამოიკვეთა შემდეგი კომპონენტები:

**თემის გააქტიურება >**

**თემის გაშლა >**

**მტკიცებულება >**

**რიტორიკული შეკითხვები >**

**კრიტიკის ადრესატების დასახელება**

საკომუნიკაციო აქტის ამგვარად წარმართვა და განხილული ფრაგმენტის ანალიზი ხცადად გვიჩვენებს, რომ მიღწეულია პოლიტიკოსის მიზანი - ოპონენტების დისკრედიტაცია.

პოლიტიკოსის მიერ გამოყენებული სტრუქტურა მოიცავს შემდეგ ეტაპებსა და ენობრივ სტრატეგიებს:

	კომპონენტი	ენობრივი რეალიზაციის ფორმა	ენობრივი რეალიზაციის სახე
1.	თემის გააქტიურება	კითხვითი წინადადება	სრული ენობრივი რეალიზაცია
2.	თემის გაშლა	ფაქტების ჩამონათვალი	დამოკიდებული წინადადებები
3.	მტკიცებულება	მარკირებული არგუმენტაციული სტრუქტურა (როცა ... მაშინ...)	წყვეტილი ენობრივი რეალიზაცია
4.	რიტორიკული შეკითხვა 1	პრესუპოზიციაზე დამყარებული შეკითხვა	სრული ენობრივი რეალიზაცია
5.	რიტორიკული შეკითხვა 2	ეთიკურ-მორალური ხასიათის შეკითხვა	სრული ენობრივი რეალიზაცია
6.	კრიტიკის ადრესატების დასახელება	არაექსპლიციტური ჩამონათვალი (ნაგულისხმევი რეფერენცია)	სრული ენობრივი რეალიზაცია
	<b>მიზანი:</b>	<b>ოპონენტების დისკრედიტაცია</b>	<b>რეალიზებულია</b>

ცხრილი 2: შ. პაპუაშვილის ციტატის სტრუქტურული ანალიზი და ენობრივი სტრატეგიები

პოლიტიკოსი რთული კონსტრუქციების საშუალებით ცდილობს, აიძულოს მსმენელი, მიჰყევას მის ლოგიკასა და აზრობრივ განვითარებას. გამოსვლის ტექსტში გამოყენებული შერეული ტექნიკა მსმენელს ხდის პოლიტიკოსის მიერ გამოთქმული მოსაზრების თანაგვტორად, რაც უზრუნველყოფს მის თანამოაზრედ ქცევას, რამდენადაც აღნიშნული ტექნიკა მოსაუბრის პირადი მოსაზრებების შეფასებებისა და ანალიზის საშუალებას უტოვებს მსმენელს. ამგვარი სტრატეგია ძლიერი იარაღია აუდიტორიაზე მანიპულაციისთვის. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ შალვა პაპუაშვილი წინასაარჩევნო ტექსტში საზოგადოებას ყურადღებას ამახვილებინებს უკრაინა-რუსეთის ომში მონაწილეობის საფრთხეებზე. პოლიტიკოსის გამოსვლის ტექსტის ნარატივი ეფუძნება ადამიანის ფუნდამენტურ მოთხოვნილებებს - მშვიდობასა და უსაფრთხოებას, რაც ენობრივი მანიპულაციის ეფექტურ ხერხს წარმოადგენს. აღნიშნული ნარატივით მანიპულირება ხელისუფლების მხრიდან კარგად ნაცნობი მეთოდია პოლიტიკური მეცნიერების ფუძემდებლებისთვის, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ადამიანები ხელისუფლებას ემორჩილებიან სწორედ უსაფრთხოების გარანტიის სანაცვლოდ (Hobbes 1994). მოცემულ მონაკვეთში პოლიტიკოსი ცდილობს, დაარწმუნოს სა-

ზოგადობა, რომ მმართველი პარტიის სწორმა არჩევანმა განაპირობა მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნება ქვეყანაში.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ პოლიტიკოსი იყენებს ELM-ის მოდელის ორივე გზას - როგორც ინტელექტუალური გავლენის მოხდენის (თემის გააქტიურებიდან დაწყებული რიტორიკული შეკითხვების ჩათვლით), ისე ემოციური ზემოქმედების გზას: ისეთი ფორმულირება, როგორიც არის *„ჩვენ წიხლით გვტენიდნენ ომში“* უდავოდ ნგრევის, არასტაბილურობის, სიკვდილის ასოციაციას იწვევს მსმენელში. საგულისხმოა, რომ სწორედ ამ ფორმულირებით იწყებს პოლიტიკოსი კრიტიკის ადრესატების შემოყვანას კონტექსტში. წინმსწრებად მოცემული ნგრევის/დესტრუქციის სურათები ადრესატებისადმი უფრო მეტი დისტანცირების სურვილს იწვევს მსმენელში, ვიდრე ეს იქნებოდა ინფორმაციული სტრუქტურის შებრუნებული თანმიმდევრობის შემთხვევაში: *ის თქვენი ტელევიზიების მფლობელები, ის ოპოზიცია, ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ამის ნაწილი იყვნენ, ჩვენ წიხლით გვტენიდნენ ომში*.

როგორც აქ წარმოდგენილმა ანალიზმა გვიჩვენა, მიზნის მისაღწევად პოლიტიკოსი ეფექტურად იყენებს ენობრივ საშუალებებს: ლექსიკურ ერთეულებს, არგუმენტაციურ სტრუქტურებს, რიტორიკულ შეკითხვებს, პარალელურ სტრუქტურებს (გამეორებას), ინფორმაციული სტრუქტურის აგების საშუალებებს და ფოკუსირებას. პოლიტიკოსის მიერ შერეული ტექნიკის სტრატეგიული გამოყენების ეფექტურობა ცხადი და მკაფიოა, განხილული პასაჟის მიზანი მიღწეულია - ოპონენტები დისკრედიტებული არიან.

## II. „კოალიცია ცვლილებისთვის - გვარამია, მელია, გირჩი, ღრთა“

განვიხილოთ პარტიის „კოალიცია ცვლილებისთვის - გვარამია, მელია, გირჩი, ღრთა“ - ერთ-ერთი ლიდერის, ნიკა გვარამიას მიერ გამოყენებულ რიტორიკული შეკითხვა:

*„რას გამოაცხადებს ცესკო, ვის აინტერესებს? ცესკო სულ იტყუება, მთავარია, ხალხი რას გრძნობს, ხალხმა ყოველთვის კარგად იცის, არჩევნებში ხელისუფლება დამარცხდა თუ გაიმარჯვა. ყოველთვის იცოდა ეს, 2003 წელსაც, როცა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ და სხვა ოპოზიციურმა პარტიებმა გაიმარჯვეს და იმიტომაც მოხდა, რაც მოხდა. იგივე მოხდება ახლაც“<sup>3</sup>*

<sup>3</sup> <https://www.youtube.com/watch?v=jhX4t70B9G0>

განსახილველი ფრაგმენტი შედგება რამდენიმე კომპონენტისაგან.

1. **რიტორიკული შეკითხვა** – მოცემული მონაკვეთი იწვება რიტორიკული შეკითხვით *რას გამოაცხადებს ცესკო, ვის აინტერესებს?*, რომელიც იმავდროულად ააქტიურებს თემას. რიტორიკული შეკითხვის პერიფრაზია: „რას გამოაცხადებს ცესკო, არავის არ აინტერესებს“.

რიტორიკულ შეკითხვაში იმპლიციტურად გამოთქმული მოსაზრების ილოკუციური ფუნქციაა გამოხატოს პოლიტიკოსის პირადი დამოკიდებულება (მე არ მაინტერესებს, რას გამოაცხადებს ცესკო), რომელიც განზოგადებულია ფსევდო-ფაქტით (არავის არ აინტერესებს) და კოლექტიურ ჭეშმარიტებად არის გამოცხადებული. შეკითხვა უარყოფითი კონოტაციის მატარებელია და მსმენელში იწვევს არასანდოობის, უნდობლობის გაღვივებას ცესკოს მიმართ.

2. **თემის გახსნა** – წინადადებაში *„ცესკო სულ იტყუება“* გამოთქმულია გამომსვლელის პირადი მოსაზრება, ვარაუდი, რომელიც ფაქტის ფორმატში არის შეფუთული და არ წარმოადგენს დამაჯერებელ, სანდო ინფორმაციას, ამდენად მხოლოდ **ბრალდებად** შეიძლება მივიჩნიოთ. აღნიშნული ბრალდების მიზანია ცესკოს დისკრედიტაცია.

3. **შეფასება** – შეფასება გადმოცემულია რამდენიმე, ერთმანეთთან თემატურად და ლოგიკურად დაკავშირებული წინადადებით: *„მთავარია, ხალხი რას გრძნობს, ხალხმა ყოველთვის კარგად იცის, არჩევნებში ხელისუფლება დამარცხდა თუ გაიმარჯვა. ყოველთვის იცოდა ეს, 2003 წელსაც, როცა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ და სხვა ოპოზიციურმა პარტიებმა გაიმარჯვეს, იმიტომაც მოხდა, რაც მოხდა“*. აქ მოცემულ მონაკვეთში პოლიტიკოსი იყენებს **შეფასებას**, რომელიც გაძლიერებულია **მენტორული ტონით**. შეფასებით წინადადებაში გამოყენებულია გამეორების ხერხი: *კარგად იცის - ყოველთვის იცოდა და იმიტომაც მოხდა, რაც მოხდა*. მოცემული მონაკვეთი პერსუაზიული აქტის ენობრივი რეალიზაციაა, რაც ექსპრესიულობასა და მეტ დამაჯერებლობას სძენს შეფასებას, ამასთანავე ქმნის მოცემული ფრაგმენტის დამაგვირგვინებელი კომპონენტის - **პროგნოზის** - წინაპირობას.

4. **პროგნოზი**. განხილულ ფრაგმენტში შეფასებას მოსდევს პროგნოზი: *„იგივე მოხდება ახლაც“*. პოლიტიკოსი მოცემულ მონაკვეთს ასრულებს **პროგნოზით**, რომელიც მანიპულაციის ერთ-ერთი გავრცელებული ტექნიკის – დაჯერების (პერსუაზიის) აქტს წარმოადგენს: პერიფრაზი: *„ნაციონალური მოძრაობა და*

სხვა ოპოზიციური პარტიები ამჯერადაც გაიმარჯვებენ, ისევე როგორც 2003 წელს.

ნიკა გვარამიას წინასაარჩევნო გამოსვლის მოცემული მონაკვეთი მოიცავს შემდეგ სტრუქტურულ ელემენტებს:

**რიტორიკული შეკითხვა >**

**თემის გახსნა (ბრალდება) >**

**შეფასება >**

**პროგნოზი**

ვნახოთ ენობრივად როგორ რეალიზდება თითოეული კომპონენტი:

	კომპონენტი	ენობრივი რეალიზაციის ფორმა	ენობრივი რეალიზაციის სახე
1.	რიტორიკული შეკითხვა	ფსევდო-ფაქტზე დამყარებული შეკითხვა	სრული ენობრივი რეალიზაცია
2.	თემის გახსნა	ფაქტის ფორმში შეფუთული ვარაუდი	სრული ენობრივი რეალიზაცია
3.	შეფასება	პერსუაზიული ფუნქციისა და მენტორული ტონის შემცველი წინადადებები	სრული ენობრივი რეალიზაცია
4.	პროგნოზი	პერლუკუციური ფუნქციის მატარებელი	დამოკიდებული წინადადება
	მიზანი:	ცესკოს დისკრედიტაცია	რეალიზებულია

ცხრილი 3: ნ. გვარამიას ციტატის სტრუქტურული ანალიზი და ენობრივი სტრატეგიები

როგორც აღმოჩნდა, ნიკა გვარამია მოცემულ მონაკვეთში იყენებს დინამიკურ მსჯელობას. ტექსტში გვხვდება შემდეგი ენობრივი საშუალებები: რიტორიკული შეკითხვა, შეპირისპირება (გამარჯვება/დამარცხება), პარადოქსული სტრუქტურები (გამეორება), ცალკეული ლექსიკური ერთეულები. მოცემულ კონტექსტში რიტორიკული შეკითხვის ილოკუციური ფუნქცია მეტწილად მოწოდებითი ხასიათისაა. პოლიტიკოსს აქვს მოლოდინი, რომ საზოგადოება გაიზიარებს პირად შეხედულებას ცესკოსთან დაკავშირებით და მხარს დაუჭერს მას,

რადგან „ხალხმა იცის, ხალხი გრძნობს“. ამასთანავე, ამგვარი მიდგომა საზოგადოების კეთილგანწყობის მოპოვების ცდას წარმოადგენს გამომსვლელის მხრიდან.

ელაბორაციული ალბათობის თეორიის (ELM) მიხედვით პოლიტიკოსი იყენებს დარწმუნების პერიფერიულ გზას, რამდენადაც ორიენტირებულია აუდიტორიაზე ემოციური ზეგავლენის მოხდენასა და მანიპულაციაზე. გამომსვლელი ფაქტის ფორმატში შეფუთული შეფასებებითა და გამეორებებით პერსუაზიული აქტის ენობრივ რეალიზაციას გვთავაზობს, რაც საშუალებას აძლევს მას, მიაღწიოს წინასწარ განსაზღვრულ მიზანს - ცესკოს დისკრედიტაციას.

### III. პარტია „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა“

მომდევნოდ გთავაზობთ პარტიის „ერთიანობა – ნაციონალური მოძრაობა“ ერთ-ერთი ლიდერის, თინა ბოკუჩავას მიერ გამოყენებულ რიტორიკულ შეკითხვებს კონტექსტთან ერთად:

*„როგორ საქართველოში გვინდა, რომ ვიცხოვროთ? საქართველოში, სადაც ივანიშვილის კლანები მდიდრდებიან თუ საქართველოს თითოეულ მოქალაქეს აქვს ევროპული კეთილდღეობა? საქართველოში, რომელიც საერთაშორისო იზოლაციაშია თუ საქართველოში, რომელიც არის დიდი ევროპული ოჯახის ამაყი წევრი? 26 ოქტომბერი არის შანსი, დავასრულოთ ეს უსამართლობა, უარი ვუთხრათ კორუფციას, საერთაშორისო იზოლაციას, სიღატაკს“<sup>4</sup>*

1. **რიტორიკული შეკითხვა** - პოლიტიკოსი საანალიზოდ მოტანილ ფრაგმენტს შეკითხვით იწყებს: *როგორ საქართველოში გვინდა, რომ ვიცხოვროთ?* თინა ბოკუჩავა მონოლოგის ფორმატში სვამს შეკითხვას, რომელიც ემსახურება თემის შემოტანას, მიზნობრივი ჯგუფის გააქტიურებას და აუდიტორიის ემოციურ ჩართვას მონოლოგში. შეკითხვის ფორმულირებაში ექსპლიციტურად არის მოცემული ინკლუზიურობა, რომელიც შემასმენლის პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ფორმით – *[ჩვენ] გვინდა* არის გამოხატული, რაც ერთიანობის განცდას ქმნის წინადადებაში, ხოლო მეორე კავშირებითის ფორმით გადმოცემული ზმნა *ვიცხოვროთ* მომავალ დროში განსახორციელებელ ამოცანაზე მიანიშნებს.

<sup>4</sup><https://formulanews.ge/Phrase/116707>

**2. არჩევანის შეთავაზება** – შეკითხვის შემდეგ პოლიტიკოსი კონტრასტულ პროპოზიციებზე დაყრდნობით მოუწოდებს საზოგადოებას, არჩევანი გააკეთოს ექსპლიციტურად ფორმულირებულ ვარიანტებს შორის:

- ა) *„საქართველოში, სადაც ივანიშვილის კლანები მდიდრდებიან თუ საქართველოს თითოეულ მოქალაქეს აქვს ევროპული კეთილდღეობა?*
- ბ) *საქართველოში, რომელიც საერთაშორისო იზოლაციაშია თუ საქართველოში, რომელიც არის დიდი ევროპული ოჯახის ამაყი წევრი?*

მოცემულ მონაკვეთში პოლიტიკოსი იყენებს **შეპირისპირების ხერხს**, კერძოდ, ერთმანეთს უპირისპირებს ისეთ ფუნდამენტურ ფასეულობებს, როგორებიცაა – **სოციალური უთანასწორობა vs. კეთილდღეობა, საერთაშორისო იზოლაცია vs. ევროპეიზაცია**. არჩევანის შეთავაზება, რომელიც ისეა სტრუქტურირებული, რომ „არჩევანის მორალურ უფლებას“ არ უტოვებს ადრესატ(ებ)ს, პრაქტიკულად ირიბ პასუხს წარმოადგენს დასმულ შეკითხვაზე. შესაბამისად, პოლიტიკოსი აქ იყენებს რიტორიკული სტილის ერთ-ერთ სახეს – ჰიპოფორას, რომელშიც მომხსენებელი სვამს კითხვას და თავადვე პასუხობს მას. ეს ტექნიკა ხშირად გამოიყენება აუდიტორიის შესაძლო წინააღმდეგობის დასაძლევად ან დაეჭვების გასაბათილებლად. საგულისხმოა, რომ, ერთი მხრივ, შეპირისპირების პირველი ელემენტი უარყოფითი სემანტიკის ლექსიკას წარმოადგენს (ივანიშვილის კლანები, საერთაშორისო იზოლაცია), მეორე ელემენტი კი – დადებითს (ევროპული კეთილდღეობა, ევროპული ოჯახის ამაყი წევრი - საქართველო). ინფორმაციული სტრუქტურის ამგვარად დალაგება გარკვეულ მოზანს ემსახურება – მმართველი პარტიის დისკრედიტაცია განახორციელოს. ამასთან, გამომსვლელი მანიპულაციის სხვა ხერხსაც იყენებს – ასახელებს დაუსაბუთებელ ფაქტებს და ექსპლიციტურად გამოხატავს პირად მოსაზრებას, როდესაც სიტყვა *ევროპულს* უსადაგებს *კეთილდღეობას*, ხოლო არსებულ მდგომარეობას აფასებს, როგორც *საერთაშორისო იზოლაციას*, რასაც, თავის მხრივ, უპირისპირებს *დიდი ევროპულ ოჯახს*. მოცემულ მონაკვეთში პოლიტიკოსი კონტრასტებზე დაყრდნობით ცდილობს ემოციური გავლენა მოახდინოს საზოგადოებაზე. შეპირისპირების ხერხის გამოყენება მიზნად ისახავს არსებული მდგომარეობის მიმართ უკმაყოფილებისა და შიშის დანერგვას საზოგადოებაში.



**3. მოწოდება –** შეპირისპირების ხერხის გამოყენებით საზოგადოებაზე მანიპულაციის მცდელობის შემდეგ პოლიტიკოსი თავის გამოსვლას აგრძელებს მოწოდებით: „*26 ოქტომბერი არის შანსი, დავასრულოთ ეს უსამართლობა, უარი ვუთხრათ კორუფციას, საერთაშორისო იზოლაციას, სიღატაკეს*“. მოცემული მონაკვეთი უარყოფითი შეფასების ექსპლიციტური გამოხატულებაა და მისი პერლოკუციური ფუნქციაა საზოგადოების გააქტიურება საკუთარი პოლიტიკური მიზნების შესაბამისად. დასკვნით წინადადებაში განმეორებით აქცენტირებულია ქვეყანაში არსებული პრობლემები, რომლებიც ექსპლიციტურად გამოხატულია უარყოფითი სემანტიკის გადმომცემი სიტყვებით - *უსამართლობა, კორუფცია, საერთაშორისო იზოლაცია, სიღატაკე*. სენტიმენტანალიზის მიხედვით, მოცემულ წინადადებაში 4 უარყოფითი სენტიმენტის გამომხატველი არსებითი სახელი/სახელური ფრაზა არის გამოყენებული, როგორც წინადადების პირდაპირი ობიექტი. აღსანიშნავია ისიც, რომ პრედიკაციის (შემასმენლის) სემანტიკური თვალსაზრისით შერჩევა (*დავასრულოთ*), ისევე როგორც მწკრივისა და კილოს არჩევანი (*კავშირებითი*), წინადადებას აძლევს პერლოკუციური აქტის კატეგორიზირებას. ამასთანავე, ზმნების გამოყენება პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ფორმაში (*უარი ვუთხრათ, დავასრულოთ*) პოლიტიკური გამოსვლის ადრესატ(ებ)ს თანამებრძოლობის განცდას უძლიერებს. მიუხედავად იმისა, რომ ინკლუზიური „ჩვენ“ ექსპლიციტურად არ არის მოცემული წინადადებაში (ის მხოლოდ ზმნაშია მარკირებული), ამგვარი ფორმულირება საგრძნობლად აძლიერებს ერთიანობის განცდას საზოგადოებაში.

ამდენად, თინა ბოკუჩავას წინასაარჩევნო გამოსვლის მოცემული მონაკვეთი შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

**რიტორიკული შეკითხვა >**

**არჩევანის შეთავაზება >**

**მოწოდება**

განვიხილოთ თითოეული კომპონენტი ენობრივი რეალიზაციის თვალსაზრისით:

	კომპონენტი	ენობრივი რეალიზაციის ფორმა	ენობრივი რეალიზაციის სახე
1.	თემის გააქტიურება	კითხვითი წინადადება	სრული ენობრივი რეალიზაცია
2.	არჩევანის შეთავაზება	კონტრასტული წინადადებები	დამოკიდებული წინადადებები
3.	მოწოდება	პერლოკუციური ფუნქციის მატარებელი წინადადება	სრული ენობრივი რეალიზაცია
	მიზანი:	შიშის დანერგვა საზოგადოებაში	რეალიზებულია

ცხრილი 4: თ. ბოკუჩავას ციტატის სტრუქტურული ანალიზი და ენობრივი სტრატეგიები

ამრიგად, თინა ბოკუჩავას წინასაარჩევნო გამოსვლის ტექსტის მოცემულ მონაკვეთში რიტორიკული შეკითხვა გამოყენებულია თემის გააქტიურებისა და მსჯელობის წახალისების მიზნით, რასაც მოსდევს სხვადასხვა ენობრივი საშუალებებისა და სტრატეგიების გამოყენებით საზოგადოებაზე ემოციური ზეგავლენის მოხდენის ცდა. მანიპულაციის მიზნით გამომსვლელი იყენებს როგორც რიტორიკული შეკითხვის ფორმატს, ასევე შეპირისპირების ხერხს, უარყოფითი კონტრასტის მატარებელ ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც ემოციური ზეგავლენის მოხდენის საშუალებას აძლევს პოლიტიკოსს. აქედან გამომდინარე, მოცემულ მონაკვეთში გამომსვლელი იყენებს ELM-ის მოდელის ორივე გზას – როგორც ინტელექტუალური გავლენის მოხდენის გზას, რაც გამოიხატება ლოგიკურ გადასვლებსა და აზრობრივ განვითარებაში ინფორმაციულ სტრუქტურებს შორის, ასევე ემოციური ზემოქმედების გზას, რაზეც მეტყველებს ისეთი ლექსიკური ერთეულების გამოყენება, როგორებიცაა *უსამართლობა, კორუფცია, საერთაშორისო იზოლაცია, სიღატაკე*. აღნიშნული ლექსიკური საშუალებების გამოყენება წინასაარჩევნო გამოსვლაში მიზნად ისახავს შიშის, ნიჰილიზმის, უნდობლობის დანერგვას საზოგადოებაში. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ პოლიტიკოსი მოწოდებას სწორედ აღნიშნული ლექსიკური ერთეულებით ასრულებს, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს პოლიტიკოსის წინასწარ განსაზღვრულ მიზანსა და სტრატეგიას.

#### IV. პარტია „ძლიერი საქართველო - ღელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის!“

სტატიის ამ ნაწილში წარმოგიდგენთ პარტია „ძლიერი საქართველო - ღელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის“ ლიდერის, მამუკა ხაზარაძის წინასაარჩევნო გამოსვლის ტექსტიდან ფრაგმენტს, რომელშიც გამოყენებულია რიტორიკული შეკითხვა:

*„საქართველოში არის ცოტალური უმუშევრობა, საქართველოში ახალგაზრდებისთვის არ არის არანაირი პერსპექტივა. როცა ამთავრებენ ისინი, დიპლომს იღებენ, რომ აქ დამაგრდნენ და იმუშაონ თავიანთი პროფესიით, საქართველოში არ ხორციელდება ისეთი პროექტები, რომლებიც იმედს მისცემს ჩვენს მოქალაქეებს, რომ ისინიც შეიძლება იყვნენ ამის მონაწილეები, საქართველოში პენსიები არის მინიმალური და დღეს პენსიონერები ფიქრობენ, რომელი აირჩიონ, წამალი აირჩიონ თუ საკვები აირჩიონ. შესაბამისად ეს ყველაფერი იმდენად თავს იყრის, რომ იმის იქით, უბრალოდ, აღარაფერი აღარ არის. და მეორე მხარეს რა ჩანს? მეორე მხარეს ჩანს ბიძინა ივანიშვილი და ეს კალენდოსკოპი ტყუილების და მთავრობა, რომელიც არაფერს კონკრეტულს არ სთავაზობს“<sup>5</sup>*

1. თემის გახსნა – პოლიტიკოსი საუბარს იწყებს თემას ხსნით, კერძოდ, შეფასებით, რომელიც ქართველი საზოგადოებისთვის მტკივნეულ საკითხებს ეხება:

- „საქართველოში არის ცოტალური უმუშევრობა,
- საქართველოში ახალგაზრდებისთვის არ არის არანაირი პერსპექტივა,
- როცა ამთავრებენ ისინი, დიპლომს იღებენ, რომ აქ დამაგრდნენ და იმუშაონ თავიანთი პროფესიით,
  - საქართველოში არ ხორციელდება ისეთი პროექტები, რომლებიც იმედს მისცემს ჩვენს მოქალაქეებს, რომ ისინიც შეიძლება იყვნენ ამის მონაწილეები,
- საქართველოში პენსიები არის მინიმალური და დღეს პენსიონერები ფიქრობენ, რომელი აირჩიონ, წამალი აირჩიონ თუ საკვები აირჩიონ...

ვრცელ შესავალში ექსპლიციტურად გამოხატულია ოპოზიციური პარტიის ლიდერის მხრიდან მმართველი პარტიის კრიტიკა ქვეყანაში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით. პოლიტიკოსი შეფასებისთვის იყენებს უარყოფითი კონტრასტის გამომხატველ ლექსიკურ ერთეულებს (ცოტალური უმუშევრობა,

<sup>5</sup> <https://www.youtube.com/watch?v=M2sqhtUlrhM>

არანაირი პერსპექტივა, მინიმალური პენსიები), რომელთა საშუალებითაც პიპერბოლიზირებულია ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები და მანიპულირებულია ფაქტები. ამგვარი შესავლით გამომსვლელი ცდილობს ემოციური ზეგავლენა მოახდინოს აუდიტორიაზე და უარყოფითად განაწყოს საზოგადოება მმართველი პარტიის მიმართ. საგულისხმოა, რომ პოლიტიკოსი ირჩევს საზოგადოების ორ ასაკობრივ ფენას – ახალგაზრდებსა და პენსიონერებს, და (ფსევდო)ფაქტების აღწერით ცდილობს პიპილიზმის გამოწვევას საზოგადოებაში: პენსიონერებს არ დაუფასდათ შრომა, ახალგაზრდებს კი უპერსპექტივო მომავალი ელით. შესაბამისად, ბუნებრივია, პოლიტიკოსის უარყოფითი შეფასება, რომელიც ლოგიკური დასკვნის სახით არის მოცემული შემდეგ წინადადებაში.

**2. უარყოფითი შეფასება** – პოლიტიკოსის ვრცელ შესავალს შეჯამების სახით (*შესაბამისად*) მოსდევს კიდევ ერთი, შედარებით ზოგადი და აბსტრაქტული უარყოფითი შეფასება (*იმის იქით აღარაფერი აღარ არის*), რომელიც მიზნად ისახავს ნიპილიზმის გაღვივებას საზოგადოებაში. მოცემული წინადადების ილოკუციური ფუნქცია – ნიპილიზმის გაღვივება – გამოხატულია ექსპლიციტურად სიტყვებით - *აღარაფერი აღარ არის*.

**3. რიტორიკული შეკითხვა** - შეფასებით კომპონენტს მოსდევს რიტორიკული შეკითხვა, რომელიც იწყებს ახალი თემის გააქტიურებას - *„მეორე მხარეს რა ჩანს?“*. რიტორიკული კითხვის პასუხი ექსპლიციტურად ვლინდება საუბრის გაგრძელებისას: *„მეორე მხარეს ჩანს ბიძინა ივანიშვილი და ეს კალენდოსკოპი ტყუილების და მთავრობა, რომელიც არაფერს კონკრეტულს არ სთავაზობს“*. რეალურად, აქაც პიპოფორის გამოყენებასა აქვს ადგილი: მოცემული წინადადება რიტორიკული შეკითხვის პასუხია კითხვის დამსმელის მხრიდან და **საბოლოოდ** გამოკვეთს პოლიტიკოსის მიზანს. მასში ექსპლიციტურად რეალიზებულია მთლიანი მონაკვეთის მთავარი სათქმელი - **მმართველი პარტიის კრიტიკა** (*მთავრობა, რომელიც არაფერს კონკრეტულს არ სთავაზობს*) და შედეგად ნიპილიზმის გაღვივება საზოგადოებაში.

როგორც ვხედავთ, მამუკა ხაზარაძის გამოსვლის ტექსტის მოცემული მონაკვეთი შედგება შემდეგი სტრუქტურული ელემენტებისგან:

თემის გახსნა >

შეფასება >

რიტორიკული შეკითხვა

	კომპონენტი	ენობრივი რეალიზაციის ფორმა	ენობრივი რეალიზაციის სახე
1.	თემის გახსნა	ფაქტების ჩამონათვალი	სრული ენობრივი რეალიზაცია
2.	(უარყოფითი) შეფასება	პერლოკუციური ფუნქციის გამომხატველი წინადადება	სრული ენობრივი რეალიზაცია
3.	რიტორიკული შეკითხვა	ა) თემის გააქტიურების ფუნქციით დასმული კითხვა	სრული ენობრივი რეალიზაცია
		ბ) ექსპლიციტურად რეალიზებული კრიტიკა	სრული ენობრივი რეალიზაცია
	მიზანი:	მმართველი პარტიის დისკრედიტაცია	რეალიზებულია

ცხრილი 5: მ. ხაზარაძის ციტატის სტრუქტურული ანალიზი და ენობრივი სტრატეგიები

როგორც კომპონენტთა თანმიმდევრობიდან ჩანს, პოლიტიკოსი მამუკა ხაზარაძე სხვადასხვა საშუალებით ცდილობს მანიპულირებას საზოგადოებრივ აზრზე. ის იყენებს ისეთ ენობრივ საშუალებებს, როგორებიცაა ლექსიკური საშუალებები, ჰიპერბოლიზაცია, შეპირისპირების ხერხი, რიტორიკული შეკითხვა, რომელიც საშუალებას აძლევს გამომსვლელს, ახალ თემაზე გადაიტანოს მსმენელის ყურადღება და აქცენტი გააკეთებინოს ექსპლიციტურად გამოხატულ პირად მოსაზრებაზე. განსაკუთრებით ეფექტურად იყენებს პოლიტიკოსი ჰიპოფორას – აუდიტორიისათვის დასმულ შეკითხვაზე თავად სცემს პასუხს. პოლიტიკოსი ELM-ს მიხედვით იყენებს დარწმუნების ორივე გზას – როგორც ინტელექტუალური გავლენის მოხდენის სტრატეგიას, რაც დაუზუსტებელი ფაქტების მოხმობითა და მათი კრიტიკული შეფასებით გამოიხატება კონტექსტში, ასევე ემოციური ზემოქმედების გზას, რასაც ამყარებს ურყოფითი კონოტაციის გამომხატველი ლექსიკური საშუალებებით. პოლიტიკოსი საუბარს იწყებს მწვავე პრობლემებით და კრიტიკული შეფასებებით - ტოტალური უმუშევრობა, უპერსპექტივობა, დაბალი პენსია. ინფორმაციული სტრუქტურების ეს თანმიმდევრო-

ბა ბევრად ეფექტურია ემოციური ზეგავლენის მოსახდენად, ვიდრე ნეიტრალური პროპოზიციით ფორმულირებული სათქმელი. ამგვარი ემოციური შესავლის შემდეგ პოლიტიკოსი სვამს რიტორიკულ შეკითხვას, რომელიც საშუალებას აძლევს მოსაუბრეს, დასკვნისკენ წაიყვანოს საუბარი ისე, რომ კიდევ ერთხელ განავრცოს სათქმელი კრიტიკის ელემენტებით და უარყოფითად განაწყოს მსმენელი კრიტიკის ადრესატის მიმართ (*ტყულების კალეიდოსკოპი და უმოქმედო მთავრობა*). ამგვარი დასასრული აძლიერებს საზოგადოებაში შიშსა და უიმედობას მომავლის მიმართ, რაც პოლიტიკოსის გამოსვლის მთავარ მიზანს წარმოადგენს.

## V. პარტია „გახარია საქართველოსთვის“

სტატიის ბოლო ნაწილში განვიხილავთ პარტია „გახარია საქართველოსთვის“ ლიდერის, გიორგი გახარია გამოსვლის ფრაგმენტს, რომელშიც გამოყენებულია რიტორიკულ შეკითხვები:

*„თქვენ რა გგონიათ, „ოცნება“ რას იზამს? ოცნება წავა, ამერიკის შეერთებულ შტატებს, ევროკავშირს გალანძღავს, ათას უბედურებას დააბრალებს და მაინც მერე მოვა და მშვენივრად დაგვპირდება, რომ მე მიგიყვანთ ევროკავშირში და ისინი ვერ მიგიყვანენო. მაინც. საბოლოო ჯამში, ჩვენ რაზე ვდავობთ? ვდავობთ, ხალხის ნებას, ხალხის ნებას ვინ უფრო ეფექტურად განახორციელებს“<sup>6</sup>.*

1. **რიტორიკული შეკითხვა** – მოცემულ კონტექსტში იკვეთება პოლიტიკოსის სტრატეგია, თემის გახსნა დაიწყოს რიტორიკული შეკითხვით. აღნიშნული სტრატეგია ხელს უწყობს როგორც მსჯელობის გააქტიურებას მსმენელში, ასევე დამაჯერებლობისა და ექსპერსიულობის ეფექტის გაძლიერებას სათქმელში. რიტორიკული შეკითხვით - *„თქვენ რა გგონიათ, „ოცნება“ რას იზამს?* - პოლიტიკოსი ააქტიურებს თემას, რომელსაც შლის კითხვაზე პასუხის გაცემით.

2. **ვარაუდი** – პოლიტიკოსი იყენებს პიპოფორას და რიტორიკულ შეკითხვაზე თავად სცემს პასუხს: *ოცნება წავა, ამერიკის შეერთებულ შტატებს, ევროკავშირს გალანძღავს, ათას უბედურებას დააბრალებს და მაინც მერე მოვა და მშვენივრად დაგვპირდება, რომ მე მიგიყვანთ ევროკავშირში და ისინი ვერ მიგიყვანენო*. მოცემულ წინადადებაში გამოთქმულია **ვარაუდი**, თუ რა შეიძლება მოხდეს მომავალში მმართველი პარტიის მხრიდან. პოლიტიკოსის მიერ გამოთქმული პირადი მოსაზრება ემსახურება ნიჰილიზმის, უიმედობის ჩანერგვას

<sup>6</sup> <https://www.youtube.com/watch?v=o84p6EAIoHM>

საზოგადოებაში. აღსანიშნავია ისიც, რომ ვარაუდი კრიტიკის თანხლებითაა წარმოდგენილი, კერძოდ, უარყოფითი კონოტაცია იმპლიციტურად გამოხატულია ფრაზებში: *ვეროკავშირს გალანძღავს, ათას უბედურებას დააბრალებს*.

**3. რიტორიკული შეკითხვა - საბოლოო ჯამში, ჩვენ რაზე ვდავობთ?** - რიტორიკული შეკითხვის ფორმის განმეორებით გამოყენებით გამომსვლელი უფრო დინამიკურს ხდის სათქმელს, აძლიერებს მსმენელზე ზემოქმედების, პერსუაზიულობის ხარისხს, ამასთანავე კითხვის დასმით გამომსვლელი ცდილობს საკითხის შეჯამებას, დასკვნისკენ მიჰყავს საუბარი, რაც კითხვაზე პასუხის გაცემით სრულდება: *„ვდავობთ, ხალხის ნებას, ხალხის ნებას ვინ უფრო ეფექტურად განახორციელებს“*. პოლიტიკოსი გამეორების ხერხით (*ხალხის ნებას, ხალხის ნებას*) ცდილობს, თემატურ ფოკუსირებას, კერძოდ, აქცენტირებას ხალხის ნება-სურვილის მნიშვნელოვნებაზე. მოცემული წინადადება იმპლიციტურად გამოხატავს წინასაარჩენო გამოსვლების მნიშვნელობის ახსნა-განმარტებას და ამავედროულად აჯამებს პოლიტიკოსის პოზიციას.

ჩვენ მიერ საანალიზოდ აღებულ კონტექსტში გამოვლინდა შემდეგი სტრუქტურული ელემენტები:

**რიტორიკული შეკითხვა >**

**ვარაუდი >**

**რიტორიკული შეკითხვა**

	კომპონენტი	ენობრივი რეალიზაციის ფორმა	ენობრივი რეალიზაციის სახე
1.	რიტორიკული შეკითხვა	მსჯელობის წახალისების ფუნქციით დასმული კითხვა	სრული ენობრივი რეალიზაცია
2.	ვარაუდი	ექსპლიციტურად გამოხატული კრიტიკა	სრული ენობრივი რეალიზაცია
3.	რიტორიკული შეკითხვა	ა) დასკვნითი კითხვა	სრული ენობრივი რეალიზაცია
		ბ) პარალელური სტრუქტურის (გამეორების) შემცველი წინადადება (ჰიპოფორა)	სრული ენობრივი რეალიზაცია
	მიზანი:	ნიჰილიზმის დანერგვა საზოგადოებაში	რეალიზებულია

ცხრილი 6: გ. გახარიას ციტატის სტრუქტურული ანალიზი და ენობრივი სტრატეგიები

გიორგი გახარიას გამოსვლის ტექსტის მოცემული მონაკვეთი ხასიათდება სტრუქტურული მრავალფეროვნებით, რამდენადაც პოლიტიკოსი რიტორიკულ შეკითხვებს იყენებს ორ სხვადასხვა შემთხვევაში, რაც თემის გააქტიურებასთან ერთად მსჯელობის, აუდიტორიაში აზროვნების წახალისებასა და საკუთარი გამოსვლის დამაჯერებლობის ხარისხის ზრდას ისახავს მიზნად. პოლიტიკოსი სხვადასხვა საშუალებით ცდილობს მანიპულირებას საზოგადოებრივ აზრზე. ის იყენებს ისეთ ენობრივ საშუალებებს, როგორებიცაა ლექსიკური ერთეულები, პარალელური სტრუქტურები (გამეორება), რიტორიკული შეკითხვა, ჰიპოფორა. ELM-ის მიხედვით გამომსვლელი ძირითადად იყენებს დარწმუნების მეორე გზას - ემოციურ ზემოქმედებას, ვინაიდან ვარაუდებითა და პირადი მოსაზრებების ექსპრესიულად გამოხატვით ცდილობს უიმედოა დანერგოს საზოგადოებაში და გავლენა მოახდინოს პოლიტიკურ არჩევანზე. აღსანიშნავია, რომ გ. გახარიას წინასაარჩევნო პროგრამები, პოლიტიკური მესიჯები და სტრატეგიები საკმაოდ ეფექტური აღმოჩნდა საზოგადოებრივ აზრზე მანიპულირების თვალსაზრისით, რამდენადაც საპარლამენტო არჩევნებში ბარიერგადალახულ ხუთ პარტიას შორის მოხვდა ახლადშექმნილი პარტია, რომელსაც სხვა პარტიებთან შედარებით ნაკლები დრო და რესურსი ჰქონდა მოქალაქეებში ნდობისა და მხარდაჭერის მოსაპოვებლად.

### დასკვნა

როგორც ჩვენ მიერ შესწავლილმა მასალამ გვიჩვენა, პოლიტიკოსები მოცემულ მონაკვეთებში მანიპულაციის მიზნით იყენებენ სხვადასხვა ენობრივ საშუალებებს: რიტორიკულ შეკითხვებს, არგუმენტაციას, პარალელურ სტრუქტურებს (გამეორებებს), შეპირისპირებებს, ლექსიკურ საშუალებებს და სხვ. პოლიტიკოსთა მეტყველებაში გამოვლინდა დარწმუნების როგორც ცენტრალური, ასევე პერიფერიული გზა, კერძოდ, შალვა პაპუაშვილი, თინა ბოკუჩავა და მამუკა ხაზარაძე იყენებენ როგორც რაციონალური, ასევე ემოციური ზეგავლენის მოხდენის სტრატეგიას, ხოლო ნიკა გვარამია და გიორგი გახარია დარწმუნების პერიფერიულ გზას ანიჭებენ უპირატესობას და მსმენელზე ემოციურ ზეგავლენაზე არიან ორიენტირებული.

რაც შეეხება რიტორიკული შეკითხვების გამოყენების შემთხვევებს, აღმოჩნდა, რომ რიტორიკული შეკითხვები მოცემულ კონტექსტებში გამოიყენება რო-



გორც პირადი მოსაზრების იმპლიციტურად გამოსახატავად და სათქმელის ხაზ-გასასმელად, ასევე ახალ თემაზე გადასვლის ფუნქციით, თემის გასააქტიურებლად. წინასაარჩევნო გამოსვლებში რიტორიკული შეკითხვების საშუალებით პოლიტიკოსებს სურთ, არაპირდაპირი გზით გამოავლინონ თავიანთი პოზიცია და გავლენა მოახდინონ საზოგადოებრივ აზრზე, მოიპოვონ ნდობა წინასაარჩევნო პროგრამებში გამოთქმული იდეების მიმართ. პოლიტიკოსები კითხვის ფორმით დინამიკურს ხდიან სათქმელს, აქცენტს აკეთებენ მნიშვნელოვან ასპექტებზე და ცდილობენ, ექსპრესიულობა გააძლიერონ სათქმელში.

ჩვენ მიერ შესწავლილმა მასალამ გვიჩვენა, რომ რიტორიკული შეკითხვების სხვადასხვა ფუნქციითა და სტრუქტურით გამოყენება განპირობებულია კონტექსტით, კერძოდ, გამომსვლელის მიზნების თავისებურებებით. საკვლევ მასალაში რიტორიკული შეკითხვები გამოვლინდა როგორც საუბრის დასაწყისში თემის გასააქტიურებლად, ასევე თემის გახსნის შემდეგ სათქმელის განვრცობისა და ექსპრესიულობის გაძლიერების მიზნით. აღნიშნული შემთხვევების თვალსაჩინოებისთვის რიტორიკული შეკითხვების გამოყენების სტრუქტურას წარმოგიდგენთ ცხრილის სახითაც:

შ. პაპუაშვილი	ნ. გვარამია	თ. ბოკუჩავა	მ. ხაზარაძე	გ. გახარია
თემის გააქტიურება	რიტორ. შეკითხვა	რიტორ. შეკითხვა	თემის გახსნა	რიტორ. შეკითხვა
თემის გაშლა	თემის გახსნა (ბრალდება)	არჩევანის შეთავაზება	უარყოფითი შეფასება	ვარაუდი
მტკიცებულება	შეფასება	მოწოდება	რიტორ. შეკითხვა	რიტორ. შეკითხვა
რიტორ. შეკითხვა 1	პროგნოზი			
რიტორ. შეკითხვა 2				
კრიტიკის ადრესატ(ებ)ის დასახელება				

ცხრილი 7: პოლიტიკოსთა მიერ გამოყენებული ენობრივი სტრატეგიების შეპირისპირებითი ანალიზი

როგორც ვხედავთ, რიტორიკული შეკითხვების გამოყენების ფუნქცია და სტრუქტურა თითოეული პოლიტიკოსის შემთხვევაში კონკრეტული მიზნის მატარებელია, კერძოდ, ხუთი პოლიტიკოსიდან ორი პოლიტიკოსის შემთხვევაში

რიტორიკული შეკითხვები გამოიყენება საუბრის დასაწყისშივე, რაც თემის გახსნას, გააქტიურებას და ექსპრესიულობის გაზრდას ემსახურება. კითხვის ფორმით საუბრის დაწყებით პოლიტიკოსთა გზავნილები ამომრჩევლის მისამართით უფრო პირდაპირი და კონკრეტულია. რაც შეეხება სამი პოლიტიკოსის, თინა ბოკუჩავას, მამუკა ხაზარაძისა და შალვა პაპუაშვილის შემთხვევას, მოცემულ კონტექსტებში პოლიტიკოსები რიტორიკულ შეკითხვებს თემის განვრცობის მიზნით იყენებენ, კერძოდ, სვამენ კითხვას, რომელიც თავის თავში მოიაზრებს ინფორმაციას, რომლებსაც გამომსვლელები ვრცლად წარმოგვიდგენენ საუბრის გაგრძელებისას. აღსანიშნავია ისიც, რომ გიორგი გახარია რიტორიკულ შეკითხვებს სვამს ახალ თემაზე გადასვლის დროსაც, ისევე როგორც საუბრის დასაწყისში თემის გააქტიურების მიზნით, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მანიპულაციის ხარისხს და ბევრად ეფექტურს ხდის გამოსვლას.

ამრიგად, ჩვენ მიერ შესწავლილი მასალიდან ჩანს, რომ რიტორიკული შეკითხვა საშუალებას აძლევს პოლიტიკოსებს, გაააქტიურონ თემა ან/და განაგრძონ თავიანთი შეხედულება კითხვა-პასუხის ფორმატში. კითხვის დასმის შემდეგ პოლიტიკოსები ხშირად იყენებენ ჰიპოფორას, ექსპლიციტურად ან იმპლიციტურად გამოთქვამენ პირად მოსაზრებებს და გამოხატავენ მოწოდებას, ვარაუდს, პროგნოზს. აღნიშნული მიდგომა წინასაარჩევნო გამოსვლებში ხელს უწყობს მსჯელობის წახალისებას, არგუმენტების სტიმულირებასა და ლოგიკურ გადასვლებს მოსაზრებებს შორს, რაც პოლიტიკოსებსა და მოქალაქეებს შორის წარმატებული კომუნიკაციის დამყარების მყარ საფუძველს ქმნის.

რიტორიკული შეკითხვების კვლევა პოლიტიკურ დისკურსში სამომავლოდ აქტიური კვლევის საგანია, რამდენადაც საკითხი მრავალწახნაგოვანია და არაერთი ასპექტით არის საინტერესო. ჩვენი მიზანია, წინამდებარე სტატიით ხელი შევუწყოთ რიტორიკული შეკითხვების გამოყენების შემთხვევების კვლევას პოლიტიკოსთა მეტყველებაში, რაც, თავის მხრივ, პოლიტიკური რიტორიკის სრულფასოვანი შესწავლის წინაპირობას ქმნის.

### გამოყენებული ლიტერატურა:

- აფრიდონიძე (1998): შ. აფრიდონიძე, „რიტორიკული კითხვები ქართულში: სტრუქტურა და გამოყენება“, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წგ. XI, თბ, 1998, გვ. 194-206.
- თანდაშვილი (2016): მ. თანდაშვილი, „ქართული ენის ფუნქციური გრამატიკის საფუძვლები“, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ბათუმი 2016, 157-161.
- ცერცვაძე (2021): მ. ცერცვაძე, „ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი წერილების პოეტური სინტაქსის საკითხები“, სამეცნიერო შრომათა კრებული 1, თბილისი, 2021 წ. გვ. 281-288.
- Hobbes (1994): Th. Hobbes (1994 [1651/1668]) Leviathan.
- Austin (1962): J. L. Austin, “How to do things with words”, Cambridge, MA: Harvard University Press, 1962.

### ელექტრონული რესურსები:

1. <https://cesko.ge/ge/siakhleebi/pres-relizebi/singleview/11035242-tsentrallurma-saarchevno-komisiyam-sakartvelos-parlamentis-2024-tslis-26-oktombris-archevnebi-sheajama>
2. <https://1tv.ge/news/shalva-papuashvili-sinamdvileshi-opoziciis-warmomadgenlebs-am-banerebze-isteria-imitom-daemartat-rom-sakutar-danashauls-chakhedes-tvalebshi/>
3. <https://www.youtube.com/watch?v=jhX4t70B9G0>
4. <https://formulanews.ge/Phrase/116707>
5. <https://www.youtube.com/watch?v=M2sqhtUlrhM>
6. <https://www.youtube.com/watch?v=o84p6EAIoHM>

# Prosodic Constructions of the Grammaticalized Verbal *adga* ('stood up') in Georgian

Zurab Okropiridze

(Ivane Javakhishvili Tbilisi State University)

DOI: <https://doi.org/10.62235/mln.3.2025.9361>

zurab.okropiridze@tsu.ge || ORCID: 0009-0002-0000-9761

**Abstract:** This article examines a specific case of the grammaticalization process in Georgian – the functional transformation of the verbal unit *adga* ('stood up') and the investigation of this process's realization at the prosodic level. The study explores the prosodic characteristics that enable the differentiation between grammaticalized and verbal elements in oral speech. The research employs experimental phonetic methods, incorporating acoustic and auditory analysis of sentences. Acoustic analysis was conducted using Praat software, while prosodic annotation of the data was performed based on the ToBI (Tones and Break Indices) system. The findings revealed that grammaticalized constructions are characterized by enclitic structures, where the conjunction *da* ('and') attaches to the preceding grammaticalized word without any word boundary markers between them. From a pragmatic perspective, the grammaticalized *adga + da* appears as a single functional element. Conversely, in sentences where *adga + da* is not grammaticalized, inter-word pauses and/or intonational boundaries are observed between the verbal unit and the conjunction. The research results demonstrate that language distinguishes between grammaticalized and non-grammaticalized units through prosodic constructions. Accordingly, a comprehensive description of this phenomenon requires the analysis of other grammaticalized elements, which is significant from the perspectives of both theoretical and applied linguistics – specifically for the development of TTS technologies for Georgian and the establishment of orthoepic norms. This article presents a pilot study aimed at creating a methodological framework for broader empirical and typological investigations.

**Keywords:** Grammaticalization, Experimental Phonetic, Prosodic Characteristics of Georgian

## Introduction

Language is a dynamic social phenomenon that undergoes constant change across all linguistic levels. One of the most significant processes of linguistic evolution is grammaticalization – the diachronic transformation of lexical elements into functional grammatical units. This study investigates the prosodic realization of grammaticalization in Georgian, focusing specifically on the verb *adga* ('stood up') and its functional transformation into an inchoative marker within the construction *adga da* (V + conjunction) *čemi da **adga da** viğac mdidars gahqva colad* ('My sister got up and married some rich guy').


The theoretical foundation of this research builds upon Ferdinand de Saussure's conceptualization of language as a system of conventional signs, where phonologically valuable speech sounds combine to form meaningful minimal units (morphemes), which subsequently form words and sentences. At the suprasegmental level, prosodic structures including intonation, stress, pausing, and tempo play crucial roles in conveying meaning and organizing linguistic information. While punctuation marks structure written discourse, prosodic constructions carry this

organizational burden in spoken language, with intonation serving as the "railway that correctly guides the flow of thought" (Zhghenti, 1963)<sup>1</sup>.

Georgian prosodic research has a rich tradition spanning several decades, yet the systematic description of prosodic structures remains incomplete due to the complex interconnection between suprasegmental and morphosyntactic levels. This complexity necessitates a comparative analysis of morphosyntactic constructions and prosodic structures, examining word order, accentualized constituents, sentence types, and other morphosyntactic features in relation to prosodic components such as stress, intonation, and pausing.

The specific phenomenon under investigation represents a case of semi-grammaticalization, where the verbal form *adga* exists simultaneously in both its original lexical form (meaning "to stand up") and its grammaticalized functional form (serving as an inchoative marker indicating the beginning of an action). This intermediate stage of grammaticalization provides an optimal research context for comparative analysis, allowing for an investigation of identical surface forms with distinct functional roles.

The central hypothesis of this study posits that grammaticalized and non-grammaticalized instances of *adga da* constructions can be differentiated through prosodic analysis in spoken Georgian. This hypothesis emerges from preliminary observations of similar constructions, such as *ra sakvirvelia* ('how surprising it is!') versus *rasakvirvelia* ('of course'), which demonstrate a clear prosodic differentiation despite an identical segmental composition (Fig. 1).



## Methodology

The research employs a mixed-method approach combining acoustic analysis with auditory perception studies. The empirical foundation draws from Mariam Rukhadze's dissertation on grammaticalized functional elements in Georgian.

The corpus consists of carefully selected sentence pairs for each tense category, with each pair containing: (1) a sentence where *adga da* functions as a grammaticalized inchoative marker,

<sup>1</sup> „ინტონაცია ისე სწორად წარმართავს აზრის მიმდინარეობას, როგორც რკინიგზა მატარებლის სვლაში“ (ჟღენტა 1963: 77).

and (2) a sentence where *adga* serves as a lexical main verb followed by the conjunction *da*. Additionally, filler sentences were included where the main verb *adga* was replaced with synonymous verbs to control for semantic effects.

Audio recordings were produced by four native Georgian speakers (two male, two female) in an isolated environment using professional recording equipment (16,000 Hz, 16-bit, WAV format). The recording protocol ensured consistent prosodic realization across speakers while maintaining natural speech patterns.

The auditory investigation involved two phases conducted with seven linguistically trained participants (minimum qualification: MA student level). In the first phase, participants categorized sentences based on the functional role of *adga* using complete audio recordings with full contextual information. The second phase employed a more controlled approach using Praat software to extract fundamental frequency (F0) contours, presenting participants with isolated tonal information to eliminate contextual and semantic influences. Only sentences that received consistent classification across both phases were included in the final analysis.

Acoustic analysis was performed using Praat software, focusing on fundamental frequency contours and pause patterns. Prosodic annotation followed the ToBI (Tones and Break Indices) system, employing the following notation: H (high tone), L (low tone), H+L (falling tone), L+H (rising tone), 0 (no boundary between words/cliticization), 1 (word-internal interval), and 2 (pause without intonational effect or intonational boundary without pause).


## Selected Results

The acoustic analysis reveals systematic prosodic differentiation between grammaticalized and non-grammaticalized constructions across multiple tense categories. The present tense forms (*adgebra da*) demonstrate particularly clear patterns that exemplify the general findings.

In grammaticalized constructions, *adgebra* exhibits a characteristic falling intonational contour (H+L) with the fundamental frequency rising again on the vowel of *da*. Crucially, these constructions demonstrate enclitic behavior, where the conjunction *da* cliticizes to the preceding verbal element without intervening pause or significant tonal boundary. The entire construction *adgebra da* functions as a single prosodic unit, with word-boundary intervals occurring only after the complete grammaticalized construction. This prosodic integration reflects the functional unity of the grammaticalized inchoative marker.

Acoustic measurements reveal that after functional elements in grammaticalized constructions, the average fundamental frequency decreases, indicating word-boundary expression through tonal lowering. The enclitic construction creates a smooth prosodic contour that signals the unified functional status of the construction to listeners.

In contrast, non-grammaticalized constructions where *adga* functions as a main verb exhibit markedly different prosodic characteristics. Instead of enclitic behavior, these constructions demonstrate proclitic patterns where the conjunction *da* attaches to the following word rather than the preceding verb. A clear intonational word boundary separates *adga* and *da*, followed by either significant tonal boundary or pause after the conjunction (Fig. 2).



The proclitic construction in non-grammaticalized contexts serves a crucial communicative function, signaling to listeners that the sentence is not complete and that additional information follows. The tonal rise on *da* combined with the absence of pause before the following word creates anticipation for continued discourse, typical of coordinated sentence structures.

These prosodic distinctions remain consistent across different tense-aspect-mood categories, though with some variation in specific tonal realization. The aorist forms (*adga da*) show the same F0 pattern of enclitic versus proclitic organization, while evidential forms (*amdgara da*) maintain the prosodic differentiation despite morphological complexity.

Interestingly, certain tense categories (second subjunctive *adges da*) show isomorphic prosodic patterns between grammaticalized and non-grammaticalized constructions, suggesting that prosodic differentiation may be more developed in frequently used tense-aspect-mood grammatical categories and less established in less common forms.

## Conclusion

This investigation demonstrates that prosodic analysis provides a reliable method for differentiating grammaticalized and non-grammaticalized constructions in spoken Georgian. The systematic prosodic differences identified support the central hypothesis that suprasegmental features can serve as diagnostic tools for functional categorization in cases of semi-grammaticalization.

The primary findings establish three key prosodic characteristics of grammaticalized constructions: (1) enclitic organization where *da* cliticizes to the preceding verbal element, (2) absence of pause or significant tonal boundary within the construction, indicating unified functional status, and (3) word-boundary intervals occurring only after the complete grammaticalized unit. Non-grammaticalized constructions exhibit contrasting patterns: (1) intonational word boundary between verb and conjunction, (2) proclitic organization where *da* attaches to following elements, and (3) significant intonational boundary or pause following the conjunction.

These findings contribute significantly to both theoretical and practical domains. Theoretically, this research advances our understanding of the relationship between grammaticalization processes and prosodic structures in Georgian, representing one of the first systematic investigations of this phenomenon in Georgian linguistic research. The methodology developed here provides a foundation for broader studies of functional-prosodic relationships in the language.

The practical implications extend to TTS (Text To Speech) technology development and automatic language processing system optimization. As spoken language interfaces become increasingly important, understanding prosodic markers of grammatical function enables more sophisticated natural language processing capabilities. The prosodic differentiation patterns identified here could inform automatic speech recognition systems and contribute to a more accurate parsing of Georgian spoken discourse.

Methodologically, this study validates the combined acoustic-auditory approach for investigating semi-grammaticalization phenomena. The convergent results from both acoustic measurements and perceptual categorization strengthen confidence in the prosodic differentiation patterns identified. The ToBI annotation system proves effective for Georgian prosodic analysis, providing a systematic framework for describing tonal and boundary phenomena.

The research acknowledges several limitations that point toward future investigations. The current corpus size, while sufficient for pilot investigation, requires expansion for statistically robust conclusions. Professional speaker recordings would enhance methodological rigor, as would broader comparative analysis including other grammaticalized elements in Georgian. Diachronic investigation represents a particularly promising direction, as audio resources spanning several decades provide unique opportunities to track grammaticalization processes in real time.

Cross-linguistic comparison offers another valuable research avenue, as grammaticalization is universal phenomenon with potentially diverse prosodic realizations across languages. Such typological investigation could reveal whether prosodic marking of grammaticalization represents a universal tendency or language-specific characteristic.

This pilot study establishes the validity of prosodic analysis for investigating grammaticalization in Georgian and provides a methodological foundation for expanded research. The clear prosodic differentiation patterns identified here support broader claims about the systematic relationship between functional and prosodic levels of linguistic organization, contributing to our understanding of how languages encode grammatical meaning through suprasegmental means. As Georgian continues to undergo linguistic change, prosodic analysis offers a valuable tool for documenting and analyzing these evolutionary processes in real time.



გრამატიკალიზებული ადგა ზმნის პროსოდიული  
კონსტრუქციები ქართულში  
ზურაბ ოქროპირიძე

(ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)

DOI: <https://doi.org/10.62235/mln.3.2025.9361>

zurab.okropiridze@tsu.ge || ORCID: 0009-0002-0000-9761

### შესავალი

ენა სოციალური ფენომენია. იმისათვის, რომ კომუნიკაციის ნებისმიერი აქტი სრულფასოვნად შედგეს, აუცილებელია ენის (ფართო გაგებით) გამოყენება. ენა აბსტრაქტული სუბსტანციაა და იგი შეიძლება რეალიზდეს სხვადასხვაგვარად. მაგალითად, არსებობს გრაფიკული ენა, კინეტიკური ენა, ბგერითი ენა და სხვ. ენისათვის ამოსავალია ბგერითი ენა, იგი უდევს საფუძვლად ყველა სხვა ენობრივ გამოვლინებას, სწორედ ამიტომ, ენათმეცნიერებაში მიღებულია ენის ფერდინანდ დე სოსიურისეული დეფინიცია, რომლის მიხედვითაც ენა პირობით, ბგერით ნიშანთა სისტემაა (გამყრელიძე 2003: 23).

ფონოლოგიურად ღირებული სამეტყველო ბგერების შეკავშირებით იქმნება მნიშვნელობის მქონე უმცირესი ერთეულები – მორფემები, ხოლო მორფემათა შეკავშირებით – სიტყვები. თავის მხრივ, სიტყვები ქმნიან წინადადებებს.

სინტაქსური თვალსაზრისით წინადადება წარმოადგენს გამონათქვამის დასრულებული აზრის გადმოცემის მინიმალურ ერთეულს. ფონეტიკური თვალსაზრისით წინადადება იყოფა უფრო მცირე მონაკვეთებად – სინტაგმებად, მათთვის დამახასიათებელი ინტონაციური კონტურებით (ოქროპირიძე 2024: 46). ინტონაცია, თავის მხრივ, ენის პროსოდიული, ანუ ზესეგმენტური (სუპრასეგმენტური) დონის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია, თუმცა პროსოდიაში ინტონაციასთან ერთად იგულისხმება ტემპი, პაუზაცია, მახვილი.

მეტყველებისას პროსოდიული სტრუქტურების სწორად გამოყენებას მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს. წერისას პუნქტუაციის ნიშნების გამოყენება უზრუნველყოფს ინფორმაციის სწორად სტრუქტურირებას, ხოლო მეტყველებისას ეს როლი

მთლიანად პროსოდიულ კონსტრუქციებს ეკისრება. „ინტონაცია ისე სწორად წარმართავს აზრის მიმდინარეობას, როგორც რკინიგზა მატარებლის სვლაში“ (უდენტი 1963: 77).

ენობრივი სისტემა ცვალებადია. დიაქრონიული კვლევები ცხადყოფს, რომ ენის ყველა დონე იცვლება დროში, რაც სხვადასხვა მიზეზითაა განპირობებული. ეს მიზეზები შეიძლება იყოს წმინდა ლინგვისტური, როგორიცაა, მაგალითად, გრამატიკალიზაციის ფენომენი, ან ექსტრალინგვისტური ფაქტორებით გამოწვეული, მაგალითად, ენათა შორის კონტაქტით ან ჰეგემონური სახელმწიფოს ენის პრესტიჟისა და გავლენის ზრდით და სხვ.

ქართული ენის პროსოდიული მახასიათებლების კვლევას მრავალათწლეულიანი ტრადიცია აქვს (თევდორაძე 1978; კიზირია 1987; ლეჟავა 1981; უდენტი 1956; უდენტი 1963; უდენტი 1965; ფუტკარაძე, მიქაუტაძე 2014; შენგელია და სხვ. 2020; ოქროპირიძე 2025 და სხვ.) თუმცა, მიუხედავად მდიდარი ტრადიციისა, დღემდე არ არსებობს პროსოდიული სტრუქტურების სისტემური აღწერა, რაც გამოწვეულია საკითხის კომპლექსურობით. საკითხის სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ ენის ზესეგმენტური დონე მჭიდროდაა დაკავშირებული მორფოსინტაქსურ დონესთან, ისინი ურთიერთგანპირობებულნი არიან. შესაბამისად, კონკრეტული ტიპის წინადადების ანალიზისას, ერთი მხრივ – შესაძლებელია მსჯელობა „დასაშვებ“ ან „დაუშვებელ“ პროსოდიულ კონსტრუქციებზე, ხოლო მეორე მხრივ – დასაშვები კონსტრუქციების ფართო დიაპაზონის არსებობა (რადგან სხვადასხვა მეტყველი სხვადასხვაგვარად გამოხატავს სათქმელს) ფართომასშტაბიან და ემპირიულ კვლევაზე დაფუძნებულ შესწავლას მოითხოვს. სწორედ ამიტომ, პროსოდიული სისტემის გააზრებისათვის აუცილებელია მორფოსინტაქსური კონსტრუქციებისა და პროსოდიული სტრუქტურების კომპარატივისტული ანალიზი, რაც სინტაგმაში ან წინადადებაში სიტყვათა რიგის, აქცენტუალიზებული წევრების განაწილების, წინადადების ტიპებისა და სხვა მორფოსინტაქსური მახასიათებლების შედარება-შეპირისპირებას გულისხმობს ისეთ პროსოდიულ კომპონენტებთან, როგორიცაა მახვილი, ინტონაცია, პაუზაცია და სხვ. აქ დამატებით ერთი სპეციფიკური პრობლემაც ჩნდება – გრამატიკალიზებული ელემენტების არსებობა წინადადებაში (მაგ., ნაზმნარი გრამატიკალიზებული ფორმები) და მათი განსხვავების შესაძლებლობა

პროსოდიული ნიშნების გათვალისწინებით. წარმოდგენილ სტატიაში განვიხილავთ ენის ცვლილების სწორედ ასეთ შემთხვევას – ზმნური ერთეულის **ადგა** ფუნქციურ-სემანტიკურ გადაწვეას (გრამატიკალიზაციას) და გრამატიკალიზაციის პროსოდიულ დონეზე ასახვას.

ზმნურ ფორმათა გრამატიკალიზაციის საკითხი დაწვრილებით არის გამოკვლეული მ. რუხაძის სადისერტაციო ნაშრომში „გრამატიკალიზებული ნაზმნარი ფუნქციური ელემენტები, მათი სემანტიკური ნიშნები და ანალიზი კორპუსლინგვისტურ ჭრილში“. კვლევის შედეგები რამდენიმე სტატიაში არის წარმოდგენილი, ამიტომ როგორც თეორიულ ნაწილში, ისე ემპირიული მასალის ანალიზისას დავყვართ აღნიშნულ ნაშრომს და შევეცდებით პროსოდიული ანალიზის საშუალებით მოვახდინოთ აღნიშნულ ნაშრომში მიღებული თეორიული შედეგების ევალუაცია ექსპერიმენტული ფონეტიკის მეთოდების გამოყენებით.

### თეორიული ჩარჩო

გრამატიკალიზაცია დროში გავრცობილი პროცესია და იგი გულისხმობს ლინგვისტური ელემენტის პარადიგმატიკული კლასის ცვლილებას. ენობრივი ელემენტები გრამატიკალიზაციის პროცესის შემადგენელ საფეხურებს თანდათანობით გადის. ვინაიდან გრამატიკალიზაცია არ ხდება მყისიერად, ენობრივ მასალაზე დაკვირვებით კარგად ჩანს ისეთი ერთეულები, რომელთა გრამატიკალიზება ჯერ არ დასრულებულა და რომელიმე ფორმა იხმარება როგორც გრამატიკალიზებული, ისე პირვანდელი სახით. გრამატიკალიზაციის ამ შუალედურ ეტაპს სემიგრამატიკალიზაცია ეწოდება (რუხაძე 2023: 72). სწორედ სემიგრამატიკალიზაციის მიმდინარე ფაზაში იმყოფება სტატიაში განხილული კონსტრუქცია **ადგა**.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ლექსიკური ერთეული **ადგა** შემდეგნაირად განიმარტება:

*„ადგება (ადგა, აძღვარა) გრძეუ. მჯდომარე ან მწოლიარე ზე აიძვრება, ფეხზე დადგება“ (ქეკელი).*

სალექსიკონო მნიშვნელობების მიხედვით, მოცემული სიტყვები, ზმნა-შემასმენლებია, შესაბამისად წინადადების ცენტრალური რგოლს უნდა წარმოადგენდეს

და პრედიკატის ფუნქცია უნდა ჰქონდეს, თუმცა ქართული ენის ეროვნულ კორპუსში ფიქსირდება ისეთი კონკორდანსები, სადაც *აღგა* არ არის არც სალექსიკონო მნიშვნელობითა და არც შესაბამისი გრამატიკული ფუნქციით წარმოდგენილი. მაგალითად:

*„რა კარგად გამახსენეთ ეს ამბავი, რომ აღგა თქვენი გაზეთი და ერთი ამბავი აუტეხა!“* (რუხაძე 2023: 75).

აღნიშნულ წინადადებაში ჩანს, რომ *აღგა* არ გამოიყენება თავისი პირვანდელი, ლექსიკური მნიშვნელობითა და შესაბამისი გრამატიკული ფუნქციით (წინადადებაში არ უკავიათ შემასმენლის ადგილი), იგი დელექსიკალიზებულია, გამოყენებულია ინსოაციის ფუნქციით, რაც გულისხმობს ზმნური პრედიკატის ისეთ სემანტიკურ მახასიათებელს, რომელიც გადმოგვცემს ამა თუ იმ მოქმედების დაწყებითობას (შაბაშვილი, 2018: 41).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, წარმოდგენილი სიტყვაფორმა სემიგრამატიკალიზაციის ეტაპზეა, რაც იძლევა შესაძლებლობას კომპარატივისტული მეთოდით ვიკვლიოთ აღნიშნული ელემენტი, ანუ ერთმანეთს შევუპირისპიროთ ის კონკორდანსები, სადაც *აღგა* ფორმა კონსტრუქციაში *აღგა და* ერთ შემთხვევაში ინსოაციის გამომხატველი ფუნქციური ელემენტია, ხოლო მეორე შემთხვევაში – ზმნა-შემასმენლის ფუნქციით გვხვდება.


სამეტყველო აქტის პროცესში, ადამიანები ერთსა და იმავე სიტყვაფორმას სხვადასხვა მნიშვნელობითა და ფუნქციით იყენებენ, თუმცა ადრესანტის მიერ ორთოეპიული ნორმების დაცვით კოდირებული ინფორმაციის დეკოდირების პრობლემა, პრაქტიკულად არ დგება.

მაგალითად, თუ ავიღებთ სინტაგმას – *რა საკვირველია*, იგი შეიძლება ორგვარად იყოს აღქმული: *რა საკვირველია* (გაოცება) და *რასაკვირველია* (დადასტურება) (თანდაშვილი, 2016: 95).


წერილობით ტექსტებში იმის გაგება რა ფუნქციითაა ესა თუ ის სიტყვაფორმა გამოყენებული, შესაძლებელია კონტექსტური ინფორმაციის გათვალისწინებით, ან ელემენტის ორთოგრაფიულ ნორმაზე დაკვირვებით. მაგალითად, ეს უკანასკნელი, თუ გამოხატავს დადასტურების შინაარსის ფუნქციურ ელემენტს – და-

იწერება ერთად, ხოლო თუ გაოცებას (ანუ გამოყენებულია პირვანდელი ფუნქციით), ნაწილაკი რა ცალკე დაიწერება.

ზეპირმეტყველებისას **რა საკვირველია** (გაოცება) (იხ. ფოტო 1) და **რასაკვირველია** (დადასტურება) (იხ. ფოტო 2) გამიჯნულია პროსოდიული კონსტრუქციით.



ფოტო 1



ფოტო 2

ორივე ფოტოზე ნაჩვენებია სიტყვაფორმის **რასაკვირველია** ინტონაციური გამოსახულება. 1-ელ ფოტოზე იგი წარმოთქმულია როგორც გაოცების გამომხატველი ერთეული, ხოლო მე-2 ფოტოზე, როგორც დადასტურების გამომხატველი ფუნქციური ელემენტი. ინტონაციურ კონტურებს შორის სხვაობა აშკარაა, შესაბამისად, აღნიშნული მაგალითი იძლევა საშუალებას ჩამოვაყალიბოთ ჰიპოთეზა – **ზეპირმეტყველებისას ფუნქციურ ელემენტთა ზმნურ ელემენტთან გარჩევა შესაძლებელია პროსოდიული კონსტრუქციით**. წარმოდგენილი კვლევის მიზანია სწორედ აღნიშნული ჰიპოთეზის ტესტირება და პროსოდიულ კონსტრუქციათა შორის სხვაობის, ასეთის არსებობის შემთხვევაში, დესკრიფციული ანალიზი.

### საკვლევი მასალა

საანალიზო წინადადებების შესარჩევად, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, გამოყენებულია მარიამ რუხაძის სადისერტაციო ნაშრომი. სადისერტაციო ნაშრომის მიხედვით, **აღბა** ზმნის ფუნქციური კონსტრუქცია დასტურდება ექვს მწკრივში, ესენია – მეოფადი, ხოლმეობითი, წყვეტილი, მეორე კავშირებითი, პირველი თურმეობითი და მეორე თურმეობითი, შესაბამისად, სწორედ ამ მწკრივებში დადასტურებული წინადადებები შევარჩიეთ წარმოდგენილი კვლევისათვის. თითოეული

მწკრივისათვის ჩავიწერეთ ორ-ორი საკვლევი წინადადება ერთი საკვლევი ერთეულისათვის:

1. წინადადება, სადაც კონსტრუქცია ზმნა ადგა + და-კავშირი ფუნქციური ელემენტია.
2. წინადადება, სადაც კონსტრუქცია ზმნა ადგა + და-კავშირი ზმნა-შემასმენელია.

გარდა საკვლევი წინადადებებისა, ჩავიწერეთ ე.წ. შემავსებელი (ფილლერ) წინადადებები, სადაც ადგა ზმნა-შემასმენელი ჩანაცვლებულია სინონიმური ზმნა-შემასმენლით.

წინადადებების ჩაწერა მოხდა 4 ცდისპირისგან (ორი დიქტორი – ქალი და ორი დიქტორი – მამაკაცი) იზოლირებულ ოთახში პროფესიონალური ხმისჩამწერით (16 000HZ, 16BIT, WAV).

### აუდიტორული კვლევა

აუდიტორულ გამოკვლევაში მონაწილეობა მიიღო ლინგვისტური განათლების მქონე (მინიმალური კვალიფიკაცია – მაგისტრანტი) შვიდმა ცდისპირმა, რომლებმაც აუდიტორული შთაბეჭდილებების საფუძველზე დააჯგუფეს სიტყვის ადგა ფუნქციის მიხედვით შერჩეული წინადადებები.

აუდიტორული გამოკვლევის შემდგომ ეტაპზე პროგრამის Praat საშუალებით აუდიოჩანაწერებიდან გამოვყავით ფუნდამენტური სიხშირე (ძირითადი ტონი, 0) და მოვასმენინეთ ცდისპირებს. ცდისპირებს უნდა დაეჯგუფებინათ აუდიოჩანაწერები იმის მიხედვით, თუ რომელ აუდიოჩანაწერში იყო საკვლევი სიტყვაფორმები გამოყენებული როგორც გრამატიკალიზებული ელემენტი და რომელში, როგორც ზმნა-შემასმენელი. ხაზი გვინდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ცდისპირებმა მოისმინეს მხოლოდ ტონის ხმა, შესაბამისად, კონტექსტური ან/და სემანტიკური გავლენა უნდა გამოვრიცხოთ.

ჩვენს მიერ კვლევისას გამოყენებულია მხოლოდ ის წინადადებები, რომელთაც აუდიტორული გამოკვლევის ორსავე ეტაპზე ცდისპირებმა სწორად მიანიჭეს შესაბამისი კვალიფიკაცია.

## აკუსტიკური ანალიზი

აკუსტიკური ანალიზი ჩატარდა პროგრამის რააც საშუალებით. აღნიშნული პროგრამით დათვალიერდა წინადადებებში ფუნდამენტური სიხშირის (ძირითადი ტონი) კონტურები. ფუნდამენტური სიხშირისა და პაუზაციის ანოტაცია მოხდა ToBI სისტემის სპეციალური აღნიშვნების გამოყენებით. ჩვენ მიერ გამოყენებულ აღნიშვნებს განვმარტავთ ქვემოთ:

H: მაღალი ტონი.

L: დაბალი ტონი.

H+ : დამავალი ტონი.

L+ : აღმავალი ტონი.

0: სიტყვებს შორის არ არის საზღვარი (კლიტიკა).

1: სიტყვათშორისი ინტერვალი.


2: პაუზა ინტონაციური ეფექტის გარეშე, ან ინტონაციური საზღვარი პაუზის გარეშე.

## ემპირიული მასალის ანალიზი


### I სერია

#### მყოფადი (ადგება)

გრამატიკალიზებული *ადგება* ფორმის ანალიზისას ჩანს, რომ იგი ხასიათდება განსაზღვრული პროსოდიული კონსტრუქციით. კერძოდ, არ გვაქვს *ადგება* და კონსტრუქციაში პაუზა. იგი შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ენკლიტიკა. სეგმენტური ერთეული *ადგება*, ზესეგმენტურ დონეზე გაფორმებულია დამავალი ინტონაციური კონტურით (აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ წინადადების საწყის პოზიციაში პირველ ხმოვანზე სიხშირე იმატებს თანდათანობით), რომელიც კვლავ აიწევს *და*-კავშირის ხმოვანზე. საგულისხმოა, რომ მოცემულ შემთხვევებში, ფუნქციურ ელემენტთა შემდეგ, ფუნდამენტური სიხშირის საშუალო მნიშვნელობა იკლებს, ანუ სიტყვათაშორისი საზღვარი გამოხატულია ტონის დაწევით (იხ. ფოტო 3-4).




ადგება და კონსტრუქციაში, როდესაც ეს უკანასკნელი არ არის გრამატიკალიზებული ერთეული, განსხვავებული პროსოდიული კონსტრუქცია გვხვდება. პირველ რიგში, თვალსაჩინოა ის, რომ ენკლიტიკის ნაცვლად, გვხვდება პროკლიტიკა, ანუ ერთმარცვლიანი დაკავშირის წინამავალ სიტყვას კი არ ეკედლება, არამედ მომდევნოს, ხოლო ადგება ზმნასა და დაკავშირის შორის დასტურდება ინტონაციური სიტყვათშორისი საზღვარი.



### ხოლმეობითი (ადგებოდა)


ადგებოდა და ფუნქციურ ელემენტს, მეოფადის მწკრივის მსგავსად, ახასიათებს აღმავალ-დამავალი ( + + ), ან აღმავალი ( + ) ინტონაციური კონსტრუქცია და ენკლიტიკა, თუმცა დაკავშირზე არ აიწევს ტონი მეოფადის მწკრივში დადასტურებული შემთხვევისაგან განსხვავებით.





ფოტო 6

ადგებოდა და ენკლიტიკურ კონსტრუქციაში ბოლო მარცვალზე ტონის დაწვევა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ეფიქრობთ, გამოწვეულია ინტონაციური საზღვრის უკეთ გამოსახატად, ვინაიდან მომდევნო სიტყვაზე ტონი თანდათან აიწევს და პაუზის არარსებობის გამო, საჭიროა ინტონაციური დამართვა. უნდა აღინიშნოს, რომ დიქტორთაშორის განსხვავებები დასტურდება მოცემულ შემთხვევაში და სიტყვათაშორის ინტონაციური საზღვრის მისაღებად, დასტურდება ენკლიტიკური კონსტრუქციის ბოლო მარცვალზე ფოტო 3-ზე აღწერილი შემთხვევის მსგავსად ტონის აწვევა, ხოლო ენკლიტიკური კონსტრუქციის მომდევნო სიტყვაზე, ტონის დაწვევა (იხ. ფოტო 7).



ფოტო 7


## II სერია

### წვევებილი (ადგა)


ვინაიდან, ქართული ენის ეროვნული კორპუსის მიხედვით, კონსტრუქცია ადგა და როგორც გრამატიკალიზებული ერთეული, ყველაზე ხშირად დასტურდება (რუხაძე 2024: 127), შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ, ყველაზე უფრო თვალ-

საჩინოდ, სწორედ, წყვეტილის მწკრივში უნდა გამოჩნდეს განსხვავება გრამატიკალიზებული და არაგრამატიკალიზებული ერთეულების პროსოდიულ კონსტრუქციათა შორის.

გრამატიკალიზებულ **ადგა** და კონსტრუქციაში, ისევე როგორც პირველი სერიის მწკრივებისათვის დამახასიათებელ კონსტრუქციებში, დასტურდება ენკლიტიკა, ხოლო გრამატიკალიზებული კონსტრუქციის შემდგომ – სტანდარტული სიტყვათშორისი საზღვარი, რომელიც არაა გაფორმებული პაუზით, ან ტონის მკვეთრი ცვლილებით.




ფოტო 8



ფოტო 9


არაგრამატიკალიზებულ კონსტრუქციაში, სადაც **ადგა** ზმნა-შემასმენელია, ხოლო **და** – კავშირი, ენკლიტიკის ნაცვლად დასტურდება სიტყვათშორისი საზღვარი, ხოლო მომდევნო სიტყვაზე, ტონის მკვეთრი დაწევა – ინტონაციური საზღვარი. აღნიშნული კონსტრუქცია, როგორც წესი, დამახასიათებელია **და-კავშირიანი** წინადადებებისათვის. კავშირსა და შემასმენელს შორის პაუზის არ არსებობა და ტონის აწევა კავშირზე, სიგნალია მსმენელისათვის, რომ წინადადება არ დასრულებულა (იხ. ფოტო 10).




ფოტო 10

## მე-2 კავშირებითი (აღგეს)

მეორე სერიის ორსავე მწკრივში გრამატიკალიზებული და არაგრამატიკალიზებული კონსტრუქციები სრულად იზომორფულია. შდრ.: გრამატიკალიზებული კონსტრუქცია – ფოტო 11; არაგრამატიკალიზებული კონსტრუქცია – ფოტო 12:



ფოტო 11




ფოტო 12

## III სერია


### 1-ელი თურმეობითი (ამდგარა)

პირველი თურმეობითის გრამატიკალიზებულ კონსტრუქციას ახასიათებს დამავალი ტონი, რომელიც კვლავ აიწევს და-კავშირზე. ცხადია, როგორც ზემოთ, აქაც ვხვდებით ენკლიტიკას და და-კავშირს, რომელსაც კავშირად მხოლოდ პირობითად ვიხსენიებთ ამ შემთხვევაში. კონსტრუქცია **ამდგარა** და ამ შემთხვევაში უნდა განვიხილოთ როგორც ერთი ერთეული. **ამდგარა** და კონსტრუქციის შემდგომ აქაც დასტურდება ნორმალური სიტყვათშორისი გადასვლა.




ფოტო 13

აღნიშნული პროსოდიული კონსტრუქცია განსხვავდება იმ კონსტრუქციისაგან, სადაც *ამდგარა* და ჩვეულებრივი ზმნა-შემასმენელი+და-კავშირია. აღნიშნულის საილუსტრაციოდ, მოვიყვანთ იმ მაგალითსაც, სადაც *ამდგარა* შემასმენელი ჩანაცვლებულია წამომდგარა შემასმენლით და მიუხედავად ჩანაცვლებისა, მათი კონსტრუქციები იზომორფულია (იხ. ფოტო 14 და 15).




ფოტო 14




ფოტო 15

## მე-2 თურმეობითი (ამდგარიყო)

მეორე თურმეობითის ფორმების პროსოდიული კონსტრუქციები იზომორფულია პირველი თურმეობითის კონსტრუქციებისა (იხ. ფოტო 16 და 17):



ფოტო 16



ფოტო 17

## დასკვნა

წარმოდგენილ სტატიაში განხილულია კონსტრუქციის *ადგომა+და* (V+conjunction) პროსოდიული მახასიათებლები. კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენდა დადგენა იმისა, თუ რამდენადაა შესაძლებელი გრამატიკალიზებული და

ზმნური კონსტრუქციების დიფერენციაცია ზეპირმეტყველებისას პროსოდიული კონსტრუქციის ანალიზის საშუალებით.

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, კვლევა ეფუძნება შერჩეული საკვლევი წინადადებების აკუსტიკურ და აუდიტორულ ანალიზს. აკუსტიკური ანალიზი ჩატარდა პროგრამის რაატ საშუალებით, ხოლო ტონალური და პაუზალური აღნიშვნებისთვის გამოყენებულია მარკირების სისტემა – თო I; ასევე აუდიტორული გამოკითხვა ლინგვისტური კვალიფიკაციის მქონე რესპონდენტებთან.

კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ გრამატიკალიზებულ და არაგრამატიკალიზებულ კონსტრუქციებს ახასიათებთ განსხვავებული პროსოდიული კონსტრუქციები, კერძოდ:

**გრამატიკალიზებული კონსტრუქციებისათვის დამახასიათებელია:**

- ენკლიტიკური კონსტრუქცია, სადაც **და-კავშირი** უკავშირდება წინამავალ სიტყვას;
- პაუზის არარსებობა ზმნურ ერთეულსა და **და-კავშირს** შორის, ანუ მთლიანი კონსტრუქცია, წარმოჩნდება, როგორც ერთი ფუნქციური ელემენტი;
- სიტყვათშორისი ინტერვალი მოდის მხოლოდ მთლიანი გრამატიკალიზებული კონსტრუქციის შემდგომ.

**არაგრამატიკალიზებული კონსტრუქციებში, პირიქით, დასტურდება:**

- სიტყვათშორისი ინტონაციური საზღვარი ადგა ზმნასა და **და-კავშირს** შორის;
- პროკლიტიკური კონსტრუქცია, სადაც **და-კავშირი** მომდევნო სიტყვას უკავშირდება;
- **და-კავშირის** შემდგომ სიტყვათშორისი მკვეთრი ინტონაციური საზღვარი და/ან პაუზა.

გვიქრობთ, წარმოდგენილ კვლევას აქვს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა:

ჩვენი კვლევის ობიექტი თეორიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ იგი ავითარებს მსჯელობას ქართულ ენაში გრამატიკალიზაციის პროცესისა და პროსოდიული სტრუქტურების ურთიერთმიმართების შესახებ. უნდა

აღინიშნოს, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ქართულ სამეცნიერო სივრცეში კვლევები ჯერ არ წარმართულა და წარმოდგენილი საპილოტე კვლევა შესაძლებელია იყოს საწინდარი უფრო ღრმა კვლევებისა.

პრაქტიკული თვალსაზრისით ამგვარი თეორიული კვლევები ხმოვანი ტექნოლოგიების განვითარებისა და ენის ავტომატური დამუშავების სისტემების ოპტიმიზაციის საფუძველს ქმნის. ასევე ვიმედოვნებთ, რომ შემუშავებული მეთოდოლოგია შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამ ტიპის უფრო ღრმა კვლევებისათვის.

მიუხედავად მონაცემთა მოცულობითი შეზღუდვებისა, წარმოდგენილი კვლევა უნდა განიხილებოდეს, როგორც პირველი ნაბიჯი, რომლის მიზანია არჩეული მეთოდოლოგიის ვალიდურობის დადგენა.

სამომავლოდ განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება:

1. **ემპირიული ბაზის გაფართოებას** – ცხადია, გრძელ კორპუსზე მუშაობა აუცილებელია სტატისტიკურად რელევანტური შედეგების მისაღებად.
2. **პროფესიონალი დიქტორების ჩაწერას** – ამგვარი კვლევების წარმართვისათვის უმთავრესია საკვლევი მასალის სერუპულოზურად შერჩევა, რისთვისაც საჭიროა პროფესიონალი დეკლამატორების ჩაწერა, რა შესაძლებლობასაც ამჯერად მოკლებულნი ვართ;
3. **შედარებითი ანალიზის გაფართოებას** – აუცილებლად მიგვაჩნია სხვა გრამატიკალიზებული ელემენტების პროსოდიული კონსტრუქციების შესწავლა და შედარება;
4. **დიაქრონიულ კვლევას** - ვინაიდან ჩვენს თვალწინაა სემიგრამატიკალიზაციის პროცესი და უკვე რამდენიმე ათწლეულია აქტიურად იქმნება აუდიორესურსები, მკვლევრებს უნიკალური შესაძლებლობა გვაქვს დიაქრონიულად შევისწავლოთ ენის ცვლილების აღნიშნული ასპექტი;
5. **ტიპოლოგიურ ანალიზს** - ცხადია, გრამატიკალიზაცია მხოლოდ ქართული ენისათვის დამახასიათებელი ფენომენი არ არის, შესაბამისად, საჭიროდ მიგვაჩნია სხვა ენებში მსგავსი პროცესების პროსოდიული რეალიზაციის შესწავლა.

## ბიბლიოგრაფია

- ასათიანი (2009). ასათიანი რ., ინფორმაციის სტრუქტურირების ძირითადი მოდელები ქართველურ ენებში. ინფორმაციის სტრუქტურირების სინტაქსური მოდელები ქართულში. თბილისი, ნეკერი;
- ახვლედიანი (1949). ახვლედიანი გ., ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები. თბილისი: სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი;
- გამყრელიძე და სხვ. (2008). გამყრელიძე თ. კიკნაძე ზ., შადური ი., შენგელაია ნ. თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი;
- თანდაშილი (2016): თანდაშილი მ., ქართული ენის ფუნქციური გრამატიკის საფუძვლები, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა, ბათუმი;
- თევდორაძე (1978). თევდორაძე ი., ქართული ენის პროსოდის საკითხები. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა;
- კიზირია (1987). კიზირია ნ., სალიტერატურო ქართულის ინტონაციის საკითხები. თბილისი: მეცნიერება;
- ჟღენტი (1963). ჟღენტი ს., ქართული ენის რიტმიკულ-მელოდიკური სტრუქტურა, თბილისი: ცოდნა;
- ლეჟავა (1981). კავშირები და პაუზისადგილი ქართულ სალიტერატურო წარმოთქმაში, სამეცნიერო კონფერენციის მასალები - ფონეტიკა და ნორმა
- ოქროპირიძე (2024): ოქროპირიძე ზ., ქართული სალიტერატურო წარმოთქმის ინტონაციური თავისებურებების ანალიზი თ I სისტემის საფუძველზე, ექსპერიმენტული ფონეტიკის სამეცნიერო ლაბორატორიის გამგის, ასოც. პროფესორის ივანე ლეჟავასადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, თეზისები, თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ჟღენტი (1963). ჟღენტი ს., ქართული ენის რიტმიკულ-მელოდიკური სტრუქტურა, თბილისი: ცოდნა;
- შენგელია და სხვ. (2020). შენგელია, ე., მემიშიში, მ., ფონიავა, ნ. მეგრულ-ლაზური ინტონაცია. თბილისი: უნივერსალი;

რუხაძე (2023): რუხაძე მ., გრამატიკალიზებული ალგა ფორმის ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზი, მილენიუმი, ტომი I, თბილისი;

<https://doi.org/10.62235/mln.1.2023.7251>,

<https://adh.ge/wp-content/uploads/2023/04/4-Rukhadze-Millennium-2023.pdf>

რუხაძე (2024): რუხაძე მ., ნაზმნარი ფუნქციური ელემენტების სემანტიკური ანალიზი კორპუსლინგვისტურ ჭრილში, მილენიუმი, ტომი 2, თბილისი. I:

<https://doi.org/10.62235/mln.2.2024.7999>

<https://adh.ge/wp-content/uploads/2024/09/6-Rukhadze-Mln-2024.pdf>

შაბაშვილი (2018): შაბაშვილი გ., ქართული ზმნის სემანტიკური მახასიათებლები, გამომცემლობა საიმედო, თბილისი;

ქეგელ (2007): ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი: ახალი რედაქცია, ტომი I, თბილისი, უნივერსალი

Asatiani (2007): Asatiani, R. The main devices of foregrounding in the information structure of Georgian sentences. In Lecture Notes in Computer Science. Springer Science+Business Media. [https://doi.org/10.1007/978-3-540-75144-1\\_2](https://doi.org/10.1007/978-3-540-75144-1_2)

Boersma (2001): Boersma P. Weenink D., PRAAT, a system for doing phonetics by computer. Glot international. 5. 341-345.

Borise (2018): Borise, L., & Zientarski, X. Word stress and phrase accent in Georgian.

<https://doi.org/10.21437/tal.2018-42>

Jun (2022): Jun Sun-Ah, The ToBI Transcription System: Conventions, Strengths, and Challenges. 10.7551/mitpress/10413.003.0007.

Jun (2007): Jun, S., Vicens, C., & Lofstedt, I. *Intonational Phonology of Georgian*. UCLA Working Papers in Linguistics, vol. 106

**გამოყენებული პროგრამები:**

audacity, version: 3.3.3 <https://www.audacityteam.org/>

Praat, version: 6.3.09 <https://www.fon.hum.uva.nl/praat/>



# *Shit, Sibal and Scheiße* - Analysis of the Translation of Taboo Language in the German subtitles of the TV-show *All Of Us Are Dead*

Sarah Giese

(University Frankfurt)

s4285480@stud.uni-frankfurt.de || ORCID: 0009-0003-2072-7522

Carina Dominguez Lopez

(University Frankfurt)

s4285480@stud.uni-frankfurt.de || ORCID: 0009-0006-3371-3738

DOI: <https://doi.org/10.62235/mln.3.2025.9362>

<sup>19</sup> The term appeared a little later, in 1939, on the cover of another book. Titled «О разгроме деникинизма» (English: "On the Defeat of Denikinism"), the book was published in Rostov-on-Don and authored by Lenin.

<sup>20</sup> Facebook 2025: „ტრამპი ისე ელვისებურად ავითარებს მოვლენებს და სტახანოველივით ისე გადაჭარბებით ასრულებს გეგმებს, რომ ოთხწლედს ერთ წელში დაასრულებს“.

<sup>21</sup> Facebook 2012: „ქუთაისის პარლამენტის და სხვა სტახანოველი მშენებლობების შედეგები“.

<sup>22</sup> Kviris Palitra 2011: „თავისთავად კანონს იმხელა საფრთხისა არაფერი ეტყობა, ეჭვს უფრო მისი სტახანოველი ტემპით მიღება აჩენს“.

censorship, no one would have dared to use the term metaphorically, especially with a negative connotation, in public. The term is attested for this purpose in periodicals founded by Georgian political émigrés in Paris. For example, in one of the letters in the Georgian-language magazine *'La Géorgie indépendante'* (English: 'Independent Georgia') from 1937, the author uses the expressions „სტახანოვიზმი“ (English: 'Stakhanovism') and „სტახანოვურად სამუშაოს შესრულება“ (English: 'doing work in a Stakhanov-like manner' (*La Géorgie indépendante*, 1937, N134, 7-8); In 1938, in the newspaper *L'echo de la lutte* (English: 'The Voice of the Struggle'), also published in Paris, we read: *'Herculean labor is proclaimed as the social necessity of the worker. Stakhanovism is a capitalist rationalization, framed within the framework of barbaric Russia, which threatens the working class with physical destruction'* (*L'echo de la lutte* 1938, N3, 9)<sup>23</sup>.

## Conclusion

The term 'Sovietism' encompasses words and phrases associated with the Soviet Empire and its propagandists. In modern Georgian political discourse, similar expressions are used to describe cultural, political, and ideological elements that originated in the Soviet Union.

Sovietisms, as metaphorical expressions, are important linguistic tools for assessing the political reality of the Soviet period and the attitudes of the Georgian-speaking community towards it. This importance is further highlighted by the fact that they continue to be actively used in the Georgian language to this day. They are also employed by the so-called post-Soviet generation born in independent Georgia, primarily with irony, or sarcasm.

A significant portion of Georgian Sovietisms is based on proper names. The metaphorization of these names is a common technique in the language. As a result, a single name can convey a range of ideas, and proper names can evolve into universal symbols.

Expressions associated with the Soviet period and its propagandists are not merely ideological metaphors; they also serve as instruments of so-called hate speech. For example, based on our observations, Sovietisms in modern Georgian political discourse are primarily used to describe pro-Russian sentiments. Such phrases add an emotional tone to a communicative event and play a significant role in shaping the negative perception of specific content.

## References

- Brasol 1922: Brasol, B. L., *The Balance Sheet of Sovietism*. New York: Duffield & Company, 1922.
- Guchua 2018: Guchua, T., Ramdenime sovietizmis semantikiuri istoriisatvis kartulshi. *Iberiul-kavkasiuri enatmecniereba XLVI*, 31-37 [On the Semantic History of Sovietisms in the Georgian Language. *Ibero-Caucasian Linguistics XLVI*, 2018, pp. 31-37.

---

<sup>23</sup> *L'echo de la lutte* 1938, N3, 9: „პერკულესის დონე მუშის სოციალურ აუცილებლობად არის გამოცხადებული. სტახანოვიზმი ბარბაროსულ რუსეთის ჩარჩოებში ჩასმული კაპიტალისტური რაციონალიზაციაა, ფიზიკური განადგურებით რომ ემუქრება მუშათა კლასს“.

- Hesse et al. 2023: Hesse, J., Genovesi, Ch. & Corazza, E., Metaphorical Uses of Proper Names and the Continuity Hypothesis. *Journal of Semantics* 40 (2-3), 2023, pp. 235-264.
- Hodgkinson 1955: Hodgkinson, H., *Doubletalk: The Language of Communism*. London: George Allen and Unwin, 1955.
- Hunt 1957: Hunt, R. N., *A Guide to Communist Jargon*. New York: The Macmillan Company, 1957.
- Kartsevsky 1923: Kartsevsky, S., I., *Yazyk, voyna i revolyutsiya [Language, war and revolution]*. Berlin: Russkoe Universal'noe Izdatel'stvo, 1923.
- Kobiashvili et al. 2019: Kobiashvili, I., Khositashvili, M., Jgerenaia, E., *Sakartvelos dampuznebeli kreba. Sxdomis okmebi, tomi II [Constituent Assembly of Georgia. Minutes of the Session. Vol. II]*. Tbilisi: Sakartvelos parlamentis erovnuli bibliotekis gamomcemloba, 2019.
- Kövecses 2002: Kövecses, Z., *Metaphor: A Practical Introduction*. Oxford: Oxford University Press, 2002.
- Lakoff 2004: Lakoff, G., *Don't Think of an Elephant! Know Your Values and Frame the Debate*. Chelsea Green Publishing, 2004.
- Lakoff & Turner 1989: Lakoff, G. & Turner, M., *More than Cool Reason: A Field Guide to Poetic Metaphor*. The University of Chicago Press, 1989.
- Lakoff & Johnson 1980: Lakoff, G., & Johnson, M., *Metaphors We Live By*. Chicago: University of Chicago Press, 1980.
- Mazon 1920: Mazon, A., *Lexique de la guerre et de la révolution en Russie (1914-1918)*. Paris: É. Champion, 1920.
- Mokienko & Nikitina 1998: Mokienko, V. M., & Nikitina, T. G., *Tolkovy Slovar' Yazyka Sovdepri [Explanatory Dictionary of the Sovietdom Language]*. Sankt-Peterburg: Folio press, 1998.
- Neiman 1978: Neiman, A., *Kartul sinonimta leksikoni [Dictionary of Georgian synonyms]*. Tbilisi: ganatleba, 1978.
- Rubinstein 1987: Rubinstein, A., Z., The Soviet Union's Foreign Policy Environment to the Year 2000. *Naval War College Review*, 40 (3), 1987, pp. 19-36.
- Sakhokia 1979: Sakhokia, T., *Kartuli xatovani sitqva-tkmani [Georgian Figurative Words and Expressions]*. Tbilisi: Merani, 1979.
- Siegelbaum 1986: Siegelbaum, L., H., The Making of Stakhanovites, 1935-36. *Russian History*, 13 (2/3), 1986, pp. 259-292.
- Traugott & Dasher 2003: Traugott, E., C. & Dasher, R., B., *Regularity in Semantic Change*. Cambridge: Cambridge University Press, 2003.
- Vereshchagin & Kostomarov 1990: Vereshchagin, E., M., & Kostomarov, V., G., *Yazyk i kul'tura: Lingvostranovedenie v prepodavanii russkogo yazyka kak inostrannogo [Language and culture: Linguistic country studies in teaching Russian as a foreign language]*. Moskva: Russkiy yazyk, 1990.
- Walling 1920: Walling, W. E., *Sovietism: The ABC of Russian Bolshevism According to the Bolsheviks*. New York: E.P. Dutton & Company, 1920.

Wee 2006: Wee, L., Proper names and the theory of metaphor. *Journal of Linguistics*, 42(2), 2006, pp. 355–371.

Yanov 1988: Yanov, A, Perestroika and Its American Critics. *Slavic Review*, 47 (4), 1988, pp. 716-725.

### **Language corpora**

Georgian Language National Corpus <http://gnc.gov.ge>

Russian National Corpus <https://ruscorpora.ru/>

### **Periodicals**

Eshmakis Matrakhi (1919). Magazine "Eshmakis Matrakhi", no. 2, p. 5.

Retrieved from <https://iverieli.nplg.gov.ge/handle/1234/265747>

La Géorgie indépendante (1937). Magazine "La Georgie indépendante", no. 134, pp. 7–8. Retrieved from <https://iverieli.nplg.gov.ge/handle/1234/450066>

L'écho de la lutte (1938). Newspaper "L'Écho de la Lutte", no. 3 (82), p. 9.

Retrieved from <https://iverieli.nplg.gov.ge/handle/1234/535975>

### **Online Media**

Business Media <https://bm.ge/news/>

Facebook <https://www.facebook.com/>

GHN <https://www.ghn.ge/>

Interpress News <https://www.interpressnews.ge/ka/>

Radio Liberty <https://www.radiotavisupleba.ge/>

Tabula <https://tabula.ge/>

# სოვიეტიზმები: საბჭოთა კავშირის

## მეტაფორული წარმოდგენა

(ქართული პოლიტიკური დისკურსის მაგალითზე)<sup>24</sup>

თამარ გუჩუა

(აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)

DOI: <https://doi.org/10.62235/mln.3.2025.9363>

me.tamuna@gmail.com || ORCID: 0009-0001-5246-4291

### რეზიუმე

#### შესავალი

გამონათქვამები, რომლებიც საბჭოთა კავშირის მეტაფორულ ასახვას წარმოადგენენ, სპეციალურ ლიტერატურაში სოვიეტიზმებად იწოდებიან. სოვიეტიზმების შესწავლა მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან იწყება. ე.წ. „საბჭოთა ენის“ მკვლევრებს შორის ერთ-ერთი პიონერი გახლდათ ფრანგი ფილოლოგი ანდრე მაზონი, რომელმაც 1920 წელს პარიზში გამოქვეყნებულ წიგნში ერთ-ერთმა პირველმა ისაუბრა პოლიტიკურ ნიადაგზე ლექსიკური ფონდის გამდიდრების გზებზე. სოვიეტიზმების ეტიმოლოგიის დადგენის ერთ-ერთი პირველი მცდელობა მოცემულია ბორის ბრაზოლის მიერ 1922 წელს ნიუ-იორკში გამოცემულ წიგნში „სოვიეტიზმის ბალანსი“. ამავე პრობლემაზე ამახვილებს ყურადღებას ჟენევისა და პრადის ლინგვისტური სკოლების ერთ-ერთი წარმომადგენელი, სერგეი კარცევსკი 1923 წელს ბერლინში გამოქვეყნებულ შრომაში „ენა, ომი და რევოლუცია“. ევროპელ ენათმეცნიერებს შორის სოვიეტიზმების აღწერის ერთ-ერთი პირველი მცდელობა ეკუთვნის ბრიტანელ მეცნიერს, ჰარი ჰოჯკინსონს, რომელმაც 1955 წელს გამოცემულ წიგნში „კომუნიზმის ენა“ საბჭოთა ლექსიკას და ფრაზეოლოგიას ერთად აღებულს „ორაზროვანი ლაპარაკი“ უწოდა. ოდნავ მოგვიანებით კი, 1957 წელს, კერი ჰანტმა მსგავსი გამონათქვამები „კომუნიზტურ ჟარგონებად“ მოიხსენია.

<sup>24</sup> კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის [YS-24-546] ფარგლებში.

სოვიეტიზმების განსაკუთრებული სიუხვით გამოირჩევა ქართული ენა, რასაც თავისი ისტორიული მიზეზი აქვს: 1921 წელს წითელმა არმიამ საქართველოს სრული ოკუპაცია მოახდინა. საბჭოთა იმპერიაში იძულებითი გაერთიანების 70-წლიანმა პერიოდმა კი თავისი შესამჩნევი კვალი დატოვა ქართულ ენაში. პოლიტიკურ ნიადაგზე და საკუთარ სახელთა მეტაფორული განზოგადების საფუძველზე არაერთი ბოლშევიკური ლიდერის სახელი იქცა ენაში ახალი მეტაფორული გამონათქვამების საფუძვლად.

წარმოდგენილი კვლევის მიზანია, თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ დისკურსში დადასტურებული სოვიეტიზმების კონცეპტუალური ანალიზი ორი მიმართულებით:

1. მეტაფორული სტრუქტურების იდენტიფიცირება – იმის ჩვენება, თუ როგორ აყალიბებს მეტაფორა კონკრეტულ იდეას;
2. კულტურული მნიშვნელობის საზგასმა – იმის ჩვენება, თუ როგორ გამოხატავენ მეტაფორები მოცემული სამეტყველო ერთობის კულტურულ ღირებულებებს.

### **მეთოდოლოგია**

პოლიტიკური დისკურსის კვლევის მეთოდოლოგია მრავალმხრივი და კომპლექსურია. გამომდინარე აქედან, სოვიეტიზმების კონცეპტუალური ანალიზი ინტერდისციპლინურ მიდგომას საჭიროებს. კვლევა პროცედურულად შემდეგი სახითაა წარმოდგენილი:

ა) დისკურსზე დაკვირვება და საანალიზო მასალის გამოვლენა; საბჭოთა კავშირთან დაკავშირებული კონკრეტული სიტყვებისა თუ გამონათქვამების იდენტიფიცირება;

ბ) ისტორიული კონტექსტის დაზუსტება და იმ პოლიტიკური მოვლენის დაკონკრეტება, რომელმაც ენაში კონკრეტული მეტაფორული გამონათქვამის ჩამოყალიბება განაპირობა;

გ) სოვიეტიზმების შეფასება. პოლიტიკურ დისკურსში როგორ კონტექსტში გამოიყენებენ დღეს – სერიოზულ თუ ირონიზებულ კონტექსტში.

### **დისკუსია**

სოვიეტიზმები დღემდე აქტიურად გამოიყენება ქართულ ენაში, როგორც ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის ნაწილი. უფრო მეტიც, მსგავსი



მეტაფორული გამონათქვამები ქართულ ენაში იმდენადაა დამკვიდრებული, რომ დღეს ფრაზოლოგიური ერთეულების რანგში გვევლინებიან.

პოლიტიკურ დისკურსში მეტაფორების დანიშნულებაა გავლენა მოახდინოს მსმენელზე/მკითხველზე ამა თუ იმ მოვლენისა და იდეის გარშემო. ამ თვალსაზრისით, მეტაფორას ნამდვილად აქვს მანიპულაციური პოტენციალი. ჩვენს კვლევას არ აქვს იმის პრეტენზია, რომ ქართულ ენაში დადასტურებულ ყველა სოვიეტიზმს ამოწურავს, თუმცა პრობლემის საილუსტრაციოთ ნაშრომში განხილულია რამდენიმე მათგანი: „ავრორას გახროლა“, „ბრეჟნევის კოცნა“, „დენიკინისდროინდელი“, „სტახანოვეური“. საილუსტრაციო მასალა ციტირებულია ქართული პოლიტიკური დისკურსიდან. კონკრეტულ შემთხვევათა ანალიზისას კი წარმოდგენილია მათი ეტიმოლოგიის დადგენის მცდელობები; შედარებები ინგლისურ და რუსულენოვან პოლიტიკური ხასიათის ტექსტებთან.

## დასკვნა

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ:

1. ტერმინი „სოვიეტიზმი“ მოიცავს სიტყვებსა და ფრაზებს, რომლებიც საბჭოთა იმპერიას და მის პროპაგანდისტებს უკავშირდებიან. თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ დისკურსში მსგავსი გამონათქვამები გამოიყენება საბჭოთა კავშირში ჩამოყალიბებული კულტურული, პოლიტიკური და იდეოლოგიური ელემენტების აღსაწერად;

2. სოვიეტიზმები, როგორც მეტაფორული გამონათქვამები, მნიშვნელოვანი ენობრივი ინსტრუმენტებია საბჭოთა პერიოდის პოლიტიკური სინამდვილისა და მის მიმართ ქართულენოვანი სამეტყველო ერთობის დამოკიდებულებების შეფასების თვალსაზრისით. ამ მნიშვნელობას კიდევ უფრო აორმაგებს ის გარემოება, რომ ისინი დღემდე აქტიურად დასტურდება ქართულ ენაში. მათ გამოიყენებს დამოუკიდებელ საქართველოში დაბადებული ე.წ. პოსტსაბჭოთა თაობაც, გამოიყენებს ძირითადად ირონიით, სარკაზმით ან კრიტიკით;

3. ქართული სოვიეტიზმების მნიშვნელოვანი ნაწილი საკუთარ სახელებზეა დაფუძნებული. საკუთარ სახელთა მეტაფორიზაცია ენაში ერთ-ერთი გავრცელებული ხერხია. ამგვარი მეტაფორიზაციის შედეგად ერთ სახელს შეუძლია იდეების მთელი კომპლექსი გადმოსცეს; კონკრეტული სახელები კი უნივერსალურ სიმბოლოებად აქციოს;

4. გამონათქვამები, რომლებიც საბჭოთა პერიოდს და მის პროპაგანდისტებს უკავშირდებიან, უბრალოდ იდეოლოგიურ მეტაფორებს არ წარმოადგენენ და ე.წ. სიძულვილის ენის ინსტრუმენტებადაც გვევლინებიან. მაგალითად, ჩვენი დაკვირვებით, სოვიეტიზმები თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ დისკურსში მეტწილად ვინმეს პრორუსული განწყობების აღსაწერად გამოიყენება. მსგავსი ფრაზები საკომუნიკაციო მოვლენას განსაკუთრებულ ემოციურ ელფერს სძენენ და დიდ როლს თამაშობენ კონკრეტული შინაარსის ნეგატიური აღქმის ჩამოყალიბებაში.

# Disinterested Contemplation as a Path to Liberation in Schopenhauer's Philosophy and Its Parallels with Zen Buddhism

Tornike Lelashvili

(Ilia State University, Georgia)

DOI: <https://doi.org/10.62235/mln.3.2025.9366>

tornike.lelashvili.1@iliauni.edu.ge|| ORCID: [0009-0003-8730-3871](https://orcid.org/0009-0003-8730-3871)

**Abstract:** This study focuses on one of the central concepts in Schopenhauer's philosophy: liberation. The possibility of liberation constitutes the core concern of his ethics and determines the structure of his soteriology. Whether the metaphysics of the will is essentially pessimistic must be assessed in light of this very issue. Schopenhauer's philosophy presents three possible paths to liberation, one of which is aesthetic — that is, liberation through disinterested contemplation. This paper examines Schopenhauer's aesthetics precisely from this perspective: as a possible path to salvation. On the other hand, the influence of Buddhist doctrine on Schopenhauer's philosophy and the parallels between them are well known. Both philosophies portray the world as fundamentally painful for the individual and aim at liberation from this suffering. The aim of this research is to analyze the role of aesthetics in Schopenhauer's philosophy as a means of denying the will, and to compare it with Zen Buddhist aesthetic theory, particularly as a potential catalyst for *satori* (sudden enlightenment), exploring the essential similarities and differences between the two traditions.

**Keywords:** Schopenhauer, Buddhism, Aesthetics, Liberation, *Satori*

## Introduction

Schopenhauer shares the traditional philosophical approach that metaphysics should precede ethics and that without metaphysics, a philosophy of morality is impossible. Therefore, he considers his own ethics to be directly connected to metaphysics. His metaphysical pessimistic philosophical system, where life is marked by the seal of suffering, ultimately returns to the concept of the *non-being*, to which a new layer is added from the perspective of soteriology – salvation is the *non-being*, the disappearance. In Schopenhauer's view, this is the same as *Nirvana*, *Nibbana*, or *Prajna Paramita* in Buddhism. The sphere of ethics is the domain where Schopenhauer's philosophy and Buddhist philosophy show the greatest affinity with each other and encompass two main aspects: compassion and salvation.

In this regard, the concept of salvation might be considered the central point of Schopenhauer's philosophy. Salvation, in turn, is related to the issue of pessimism, and thus to the question of the possibility or impossibility of salvation, which, in itself, implies the negation of individual will. The negation of individual will through asceticism seems to be possible, but what does this statement mean – the reversal of will from itself, if everything is the objectification of will? How does the individual will negate itself? Schopenhauer suggests three possible ways to salvation through the negation of will: 1. Aesthetic contemplation, 2. The ethics of compassion, and 3. Asceticism. Each of these finds its corresponding parallel in Buddhist philosophy. The object

of our study is precisely the first: the path of aesthetic contemplation as salvation in Schopenhauer's philosophy and its parallels with Buddhism.

## Methods

When considering the similarities or possible influences between two different intellectual traditions, two approaches can be distinguished:

- a) We could talk about the similarities between ideas. For example, we could successfully trace similarities between Stoic and Buddhist ethics, even though there was no direct contact between these two thought. In any case, such a connection has not been conclusively proven up to the present day. This would be philosophical comparativism based on the hermeneutics of texts.
- b) We could approach the issue historically, using the method of textual source analysis. For instance, which Buddhist sources was Schopenhauer himself familiar with, and to what extent can we talk about some form of influence based on them?

In the present brief study, both hermeneutical and comparative analysis methods are used. Schopenhauer's major work, *The World as Will and Representation*, as well as relevant texts from the Zen Buddhist tradition, have been analyzed. Both classical (Daisetsu Suzuki) and contemporary commentators (Hani and Kalupahana) have been considered. In both systems, attention is focused on the points where different paths to overcoming volition are revealed, primarily through aesthetic contemplation.

## Aesthetic Contemplation as a Path to Liberation and Zen Aesthetics

Schopenhauer's notion of disinterested contemplation represents a state in which an individual, through art or other aesthetic experiences, detaches from personal desires and becomes absorbed in the object of contemplation. This detachment, according to Schopenhauer, allows one to transcend the will—humanity's fundamental source of suffering—and experience a state of liberation, even if momentarily. Schopenhauer believes that this experience provides a glimpse of the “thing-in-itself,” an ultimate reality beyond the world of appearances.

Zen Buddhism, on the other hand, emphasizes the cultivation of an empty mind (or “no-mind”) through meditation and mindfulness, where one lets go of personal attachments, ego, and desire. This practice, similar to Schopenhauer's disinterested contemplation, aims for a direct, unmediated experience of reality, free from the distortions caused by self-interest or the ego. Zen masters often speak of the importance of “seeing into one's own nature” and attaining enlightenment (*satori*), a state where the dualities of self and other, subject and object, dissolve.

While Schopenhauer's philosophy relies on aesthetic experiences to reach the state of disinterested contemplation, Zen Buddhism's primary means of reaching liberation is through meditation. Both systems, however, advocate for a form of liberation where the ego and personal desires are suspended, leading to an experience of pure being or non-being.

In comparing the two systems, the analysis shows that both Schopenhauer's philosophy and Zen Buddhism offer a critique of the will or ego as the source of suffering. The practice of disinterested contemplation in Schopenhauer's system mirrors the Zen approach in that both seek

a direct, unmediated experience of the world. This transcendence of the ego is crucial to the liberation each system proposes, as it represents the release from the cycle of craving and attachment, which are seen as the root causes of suffering

### **Conclusions**

It should be noted that, in terms of the understanding of art, Schopenhauer is undoubtedly closer to the Buddhist tradition than to the Christian one. Significant parallels can be seen: his detached reflection, which briefly violates the principium individuationis by transcending its bounds and is brought on by the view of a stunning scene or piece of art, is comparable to the transcendental experience that occurs during *satori*. Both express the claim to a non-personal, universal, and unified sense of reality. However, for Schopenhauer, the problem lies in the transitory nature of this experience. According to him, after the experience has passed, even the genius returns to the ordinary life of a human being, whereas Suzuki points out that anyone who has once experienced *satori* has gained a better understanding of the world and its unity, has become enlightened, and will never again perceive things in the same way as before. Ultimately, it can be said that, within Schopenhauer's philosophical system, art is given a more significant role as a potential path to liberation, but still a limited one, whereas in Buddhism, *satori* is seen as of much greater and lasting importance compared to the knowledge gained through Schopenhauer's disinterested contemplation that everything is one. Moreover, despite the general influence of Buddhist philosophy on Schopenhauer's system, there is no solid foundation for claiming a direct influence in the domain of aesthetics.

დაუინტერესებელი მჭვრეტელობა, როგორც ხსნის გზა  
შოპენჰაუერის ფილოსოფიაში და პარალელები  
ძენ ბუდიზმთან

თორნიკე ლელაშვილი

(ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)

DOI: <https://doi.org/10.62235/mln.3.2025.9366>

tornike.lelashvili.1@iliauni.edu.ge|| ORCID: [0009-0003-8730-3871](https://orcid.org/0009-0003-8730-3871)

შესავალი

საკონკურსო ნაშრომის, *მორალის საფუძვლის შესახებ*, წინასიტყვაობაში შოპენჰაუერს მოჰყავს ქრისტიან ვოლფის ციტატა: “Tenebrae in philosophia practica non dispelluntur, nisi luce metaphysica affulgente”<sup>1</sup> (Schopenhauer 1977: 148) და ასევე კანტისა, *ზნეობის მეტაფიზიკის დაფუძნების* წინასიტყვაობიდან, რომ მეტაფიზიკა წინ უნდა უსწრებდეს ეთიკას და რომ მის გარეშე საერთოდ წარმოუდგენელია რაიმე სახის მორალის ფილოსოფია. შოპენჰაუერი ამ მიდგომას იზიარებს და საკუთარ ეთიკას მეტაფიზიკასთან უშუალო კავშირში განიხილავს. მისი ნების მეტაფიზიკაზე დაფუძნებული პესიმიზტური ფილოსოფიური სისტემა, სადაც ცხოვრება აღბეჭდილია ტანჯვის ბეჭდით, ბოლოს კიდევ ერთხელ უბრუნდება *არარას*, რომელსაც უკვე ახალი შრე ემატება სოტერიოლოგიისა - ხსნა არის არარა, ქრობა. შოპენჰაუერის გაგებით ეს არის იგივე *ნირვანა*, *ნიბანა* ან *პრაჯნა პარამიტა* ბუდიზმისა. ეთიკის სფერო სწორედ ის სფეროა, სადაც შოპენჰაუერის ფილოსოფია და ბუდისტური ფილოსოფია ყველაზე დიდ ნათესაობას ავლენს ერთმანეთთან და ორ ძირითად ასპექტს მოიცავს: *თანაგრძნობა* და *ხსნა*.

ამ თვალსაზრისით ხსნის ცნება შესაძლოა, მთავარ პუნქტადაც მივიჩნიოთ შოპენჰაუერის ფილოსოფიისა. ხსნა, თავის მხრივ, უკავშირდება პესიმიზმის საკითხსაც. ამ კუთხით გვაქვს კომენტატორთა განსხვავებული პოზიციები. მაგალითად,

<sup>1</sup> პრაქტიკულ ფილოსოფიაში წყვედიადი მხოლოდ მაშინ იხვევს უკან, როდესაც მას მეტაფიზიკის შუქი ასინათლებს (ლათ.) თარგმანი, როგორც აქ, ისე შემდგომ ტექსტში ეკუთვნის ავტორს.

ბუდიზმის თანამედროვე მკვლევრები უარყოფენ მის პესიმისტურ ბუნებას და ამას მცდარ გააზრებად მიიჩნევენ, რომელიც დაფუძნებულია ტანჯვის ცნების, ე. ი. პირველი დიადი ჭეშმარიტების უნივერსალიზაციაზე. ურს აპს მსგავსი პოზიცია აქვს შოპენჰაუერის ფილოსოფიასთან მიმართებითაც, მასში სწორედ ხსნის შესაძლებლობაზე დაფუძნებით: „მნიშვნელოვნად მიმაჩნია იმაზე საზგასმა, რომ ორთავე, შოპენჰაუერის სწავლება და ბუდიზმი, ძნელად თუ შეიძლება იწოდებოდეს „პესიმისტურად“. პირიქით: ფაქტობრივად ორივე მათგანი ძირეულად ოპტიმისტურია, რამდენადაც ისინი მიუთითებენ ადამიანის სიცოცხლეშივე ტანჯვის გადალახვის შესაძლებლობაზე“ (App 2014: 315). აპი აღნიშნავს, რომ პესიმიზმი, რომელიც ტანჯვის რეალიზმს ემყარება, როგორც ბუდიზმში, ისე შოპენჰაუერის ფილოსოფიაში, უშუალო თანმხლებად მოიაზრებს ხსნის ოპტიმიზმსაც სამსარადან ნირვანასაკენ (App 2014: 316). ეს საკითხი ნამდვილად მოითხოვს განხილვას, რამდენადაც შოპენჰაუერის ფილოსოფიის შემთხვევაში საქმე არც იმდენად ოპტიმისტურად ჩანს, როგორც შეიძლება უ. აპს ეჩვენებოდეს. მაგალითად, დჰამასამი აღნიშნავს, რომ „შოპენჰაუერის გზა ხსნისა არც ამგვარად [ბუდიზმის მსგავსად - თ.ლ.] კარგად სტრუქტურირებულია და არც სისტემატურად გადმოცემული“ (Dhammasami 2011: 51). თავის მხრივ, ეს განაცხადი კიდევ უფრო პრობლემურად გვეჩვენება, ვიდრე ურს აპისა. ამ შემთხვევაში მთელი სირთულე, რაზეც დჰამასამი აქცენტს არ აკეთებს, ეხება არა მეტად თუ ნაკლებად კარგ სტრუქტურირებასა და არასისტემურობას, რასაც ნამდვილად ვერ ვუსაყვედურებთ შოპენჰაუერის ფილოსოფიას, არამედ სწორედ იმ საკითხს, რომ ბუდიზმისაგან განსხვავებით, აქ საქმე გვაქვს ნების მეტაფიზიკასთან. ინდივიდუალური ნების უკუგდება ასკეზის საშუალებით თითქოს შესაძლებლად ჩანს, მაგრამ რას ნიშნავს ეს განცხადება, ნების საკუთარი თავისაგან შებრუნება, თუკი ყოველივე ნების ობიექტივაციაა? როგორ უარყოფს ინდივიდუალური ნება საკუთარ თავს? აქ შოპენჰაუერი სავარაუდო ხსნის სამ გზას გვისახავს ნების უარყოფისა: 1. ესთეტიკის, 2. თანაგრძნობის ეთიკის და 3. ასკეზის. თითოეული მათგანი თავის შესაბამის პარალელს ჰპოვებს ბუდისტურ ფილოსოფიაშიც. ჩვენი კვლევის საგანი სწორედ პირველი მათგანია: ესთეტიკური ჭკრეტის გზა, როგორც ხსნა შოპენჰაუერის ფილოსოფიაში და პარალელები ბუდიზმთან.

## კვლევის მეთოდოლოგია

როდესაც განვიხილავთ ორი განსხვავებული სააზროვნო ტრადიციის მსგავსებისა თუ შესაძლო გავლენების საკითხს, ორი მიდგომა შეიძლება გამოვყოთ:

- ა) ვისაუბროთ იდეათა შორის მსგავსებებზე. მაგალითად, წარმატებით შეგვეძლო გვეკვლია მსგავსებანი სტოიკურ და ბუდისტურ ეთიკას შორის, მიუხედავად იმისა, რომ უშუალო კონტაქტი ამ ორ მიმდინარეობას ერთმანეთთან არ ჰქონია. ყოველ შემთხვევაში, მსგავსი რამ დღემდე ფაქტობრივად არ დასტურდება. ეს იქნებოდა ფილოსოფიური კომპარატივისტიკა, დაფუძნებული ტექსტების ჰერმენევტიკაზე.
- ბ) მივუდგეთ საკითხს ისტორიულად, ტექსტობრივი წყაროების კვლევის მეთოდით. მაგალითად, რა ბუდისტურ წყაროებს იცნობდა თავად შოპენჰაუერი და აქედან გამომდინარე, რამდენად შეგვიძლია ვისაუბროთ რაიმე სახის გავლენაზე.

წარმოდგენილი მცირე კვლევის ფარგლებში გამოყენებულია ჰერმენევტიკული და კომპარატიული ანალიზი. გაანალიზებულია შოპენჰაუერის ძირითადი ნაშრომი „*სამყარო, როგორც ნება და წარმოდგენა*“, ასევე შესაბამისი ტექსტები ძენ ბუდისტური ტრადიციიდან; მისი როგორც კლასიკური (დაისეცუ სუძუკი), ისე თანამედროვე კომენტატორები (ჰანი და კალუპაჰანა). ორივე სისტემაში ყურადღება გამახვილდა იმ წერტილებზე, სადაც ნებელობითობის გადაღახვის სხვადასხვა გზები იჩენს თავს, უმთავრესად კი ესთეტიკური მჭვრეტელობა.

## ესთეტიკური ჭვრეტა, როგორც ხსნის გზა და ძენის ესთეტიკა

ა) *დაუინტერესებელი ჭვრეტა შოპენჰაუერთან* - ესთეტიკისა და მისი ფუნქციების შესახებ პირველ სერიოზულ და თემატურ განხილვას შოპენჰაუერი მთავარი ნაშრომის მესამე ნაწილში წარმოგიდგენს. აქ წინარე აუცილებელი საფეხურები უკვე გავლილია, სამყარო განხილულია, როგორც წარმოდგენა და როგორც ნება. ინდივიდი დასახულია, როგორც წარმავალი და უმნიშვნელო ობიექტივაცია წარუვალი ნებისა. ადამიანური ინდივიდის შემეცნების უნარი, მგრძნობელობა და ა.შ. ასევე წარმოიჩენილია, როგორც იარაღი ნების *უფრო რთული* და



მრავალმხრივი მოთხოვნები დასაკმაყოფილებლად. შოპენჰაუერი აღნიშნავს, რომ ცხოველების შემთხვევაში შემეცნებას არავითარი შესაძლებლობა არ აქვს ამ მსახურებისაგან თავი დაიხსნას, მაგრამ ადამიანებთან შესაძლოა მოხდეს ეს გამო-  
ნაკლისი (Schopenhauer 2009: 167). ეს ხდება მაშინ, როდესაც სუბიექტი საგანთა ჩვეულებრივი შემეცნებიდან იდეების შემეცნებაზე გადადის, „ამდენად [სუბიექტი] წყვეტს მარტოოდენ ინდივიდად ყოფნას და ახლა არის შემეცნების წმინდა ნების არმქონე სუბიექტი“ (Schopenhauer 2009: 167). ეს არის განყენებული, დაუინტერესე-  
ბელი ჭკრეტა, რომლის შოპენჰაუერისეული ძალზე ჰგავს ძენ-ბუდიზმისეულს. ადა-  
მიანს აღარ აინტერესებს, თუ *ხად, როდის, რატომ და რისთვის*, არამედ მხოლოდ  
რა.

*„...ნებას აღარ ეძლევა უფლებას, რომ აბსტრაქტულმა აზროვნებამ და-  
იპყროს ცნობიერება, ...არამედ მთელი ძალა ეძლევა მჭკრეტელობას, მთლი-  
ანად იძირება მასში და საშუალებას იძლევა, რომ მთელი ცნობიერება  
აივსოს მშვიდი მჭკრეტელობით სწორედ მოცემული ბუნებრივი საგნისა,  
იქნება ეს ლანდშაფტი, ხე, კლდე, ნაგებობა თუ ნებისმიერი სხვა რამ. ... ის  
მთლიანად საგანში იკარგება“* (Schopenhauer 2009: 168).

მაშასადამე, ამგვარი მჭკრეტელობა, ერთი მხრივ, სუბიექტს იხსნის ნების ძალაუფლებისაგან, რამდენადაც საგანს განიხილავს უკვე არა როგორც საგანს მისი მიზნებისა თუ წადილების დაკმაყოფილებისა, არამედ დაუინტერესებლად, და მეორე მხრივ, თავად ეს საგანიც უკვე ვლინდება, როგორც არა უბრალო საგანი, არამედ იდეა. ამ პროცესში ჩაძირული ინდივიდი კარგავს ინდივიდობას და გვევ-  
ლინება, როგორც „წმინდა, ნების არმქონე, ტკივილის არმცოდნე, დროის მიღმა მეოფი შემეცნების სუბიექტი“ (Schopenhauer 2009:168). შოპენჰაუერის მიხედვით, ამ-  
გვარი მჭკრეტელობა აუქმებს ტანჯვის ორ მთავარ მიზეზს - დაუკმაყოფილებელ და მუდამ საგანზე მიმართულ ნებას და ინდივიდუალობას, როგორც მოჩვენები-  
თობას. ამიტომ წმინდა შემეცნების სუბიექტი იმდენად არის *ტკივილის არმცოდნე*, რამდენადაც არის იგი *ნების არმქონე*.

ამ პროცესში ქრება სუბიექტისა და ობიექტის დუალიზმიც. ამდენად, ქრება სამყაროც, როგორც *წარმოდგენა*, რის შემდეგაც რჩება სამყარო, როგორც *ნება*.

შემეცნებელი სუბიექტი მალღდება ცოდნამდე, შეგრძნებამდე, რომ როგორც თავად, ისე მის წინაშე არსებული საგანი არსობრივად ერთსა და იმავეს წარმოადგენენ და როდესაც მიღწეულია ეს საფეხური ცოდნისა, გარკვეულწილად, უკვე მიღწეულია ხსნაც. ინდივიდი აღარ განიცდის საკუთარ წარმავლობას, არამედ „მას, პირიქით, ეუფლება იმის ცნობიერება, რასაც გამოთქვამენ უპანიშადები ვედებისა: Hae omnes creaturae in totum ego sum, et praeter me aliud ens non est (oupnekhat, I, 122)” (Schopenhauer 2009: 170).

შემეცნების სახე, რომელიც ყველაზე ახლოსაა და უფრო მეტიც, წარმოადგენს კიდევ ამგვარ სახეს დაუინტერესებელი მჭვრეტელობისა, არის ხელოვნება. ხელოვანიც შოპენჰაუერისათვის ჰგავს მისტიკოსს, ან ასკეტს. მას იმდენად არ აინტერესებს ნებისეული და ინტერესისმიერი მიმართებანი საგნებთან, რომ „ხშირად არაფრად მიაჩნია საკუთარი ცხოვრებისეული გზა და ხშირად საკმაოდ უგერგილოდაც მიემართება მასზე“ (Schopenhauer 2009: 232). თუმცა შოპენჰაუერი იაზრებს ხსნის ამგვარი სახის ნაკლულობას. *გენიალური შემეცნება*, ისევე როგორც ძენისეული სატორი, თუნდაც საქმე გვქონდეს გენიოსთან, არ შეიძლება იყოს მუდმივი, იგი დროებითია,<sup>2</sup> რადგან „ძლიერი დაძაბულობა“, რომელიც საჭიროა ამგვარი შემეცნებისათვის, „აუცილებლად სუსტდება და წარმოქმნის დიდ შუალედებს, რომლის დროსაც გენიოსები ემსგავსებიან ჩვეულებრივ ადამიანებს, როგორც საკუთარი ღირსებით, ასევე ნაკლით“ (Schopenhauer 2009: 233).

მაშასადამე, ესთეტიკური მჭვრეტელობა, როგორც ხსნის ერთ-ერთი გზა, შეგვიძლია გვერდით დავუყენოთ, როგორც საპირისპირო პოლუსი, ინდივიდუაციის პრინციპს, როგორც ტანჯვის ერთ-ერთ მიზეზს. ეს გზა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ნაკლულია. უპირველესად, მსგავსი შემეცნების უნარი, უნარი მჭვრეტელობისა არაა ყველა ადამიანის ხვედრი. ეს ერთგვარი ნიჭია და თავად ადამიანის, ხელოვანის, უმაღლეს ფორმაშიც, რომელსაც გენიოსი წარმოადგენს, იგი მიიღწევა ძალების უაღრესი დაძაბვით და ისიც წამიერად. ამ დროის მცირე მონაკვეთში ხდება

<sup>2</sup> ქართულ სააზროვნო სივრცეში ამ საკითხს პირველად ეხება თ. ბუაჩიძე და სრულებით მართებულია. იგი პირდაპირ აღნიშნავს: „ხელოვნება ხსნაა, ხელოვანი კი მხსნელია“, თუმცა იქვე - „ცხადია, რომ ხელოვნების მიერ მოტანილი შვება მხოლოდ დროებითია. ხელოვნების შედეგი - ტკბობის წამი - გადის, ცხოვრება კი გრძელდება.“ (თამაზ ბუაჩიძე, *თანამედროვე დასავლური ფილოსოფიის სათავეებთან*, Carpe Diem: თბილისი, 2013, გვ. 57).

შესაძლებელი ნებისა და ეგოს დამარცხება, მოჩვენებითი ინდივიდუალობიდან გამოსვლა და გააზრება ყველაფრის ერთიანობისა. შემთხვევითი როდია, რომ შოპენჰაუერს კვლავ *უპნეხატიდან*<sup>3</sup> მოჰყავს ციტატა, რითიც ცდილობს საკუთარი ფილოსოფიის აღმოსავლურ ტრადიციასთან სიახლოვის წარმოჩენას. რაზეც შოპენჰაუერი საუბრობს, ძალზე საყოველთაო განცდაა, რომელიც ეუფლება ადამიანს მშვენიერი ლანდშაფტის ცქერისას, თუ მუსიკის მოსმენისას, როდესაც, თითქოს, მართლაც ხდება საკუთარი თავიდან *ამოვარდნა* და არაგანსჯისეული ჩაძირვა მჭვრეტელობის ობიექტში. შოპენჰაუერი აღწერს ამ გამოცდილებას:

*„ვნებებით, გაჭირვებითა თუ ზრუნვით გატანჯული, როდესაც იგი ერთადერთი თავისუფალი მზერით იძირება ბუნებაში, უეცრად გამოცოცხლდება ხოლმე, მხიარულება ეუფლება და მხნეობა: ვნებების გრივადი, წადილისა და შიშის მომძლავრება და ნებელობის ყოველი ტანჯვა უეცრად, გასაოცარი გზით ჩაწყნარებულია... ბედნიერება და უბედურება გამჭრალია; ჩვენ აღარ ვართ ინდივიდუმი, ის დავიწყებულია, არამედ მხოლოდ შემეცნების წმინდა სუბიექტი: “ჩვენ ვართ მოცემულნი, როგორც მხოლოდ სამყაროს ერთიანი თვალი, რომელიც ყველა შემეცნებელი არსებიდან იცქირება, თუმცა მხოლოდ ადამიანში შეიძლება, რომ ნების მსახურებისაგან სრულიად თავისუფალი გახდეს“ (Schopenhauer 2009: 241).*

ხელოვნების ამგვარი გააზრება ზის დასავლურ ტრადიციაში, რამდენადაც დაფუძნებულია კანტის ფილოსოფიაზე დაუინტერესებელი მჭვრეტელობის შესახებ. მეორე მხრივ, ახალია სწორედ მისი სოტერიოლოგიური შრე, რაც კანტთან არ გვხვდება. ზემოთ აღინიშნა, რომ გამოცდილება, რომელსაც შოპენჰაუერი აღწერს, ძალიან ჰგავს ძენ-ბუდიზმში სატორის გამოცდილებას, მაშასადამე, უეცარი გასხივოსნების გამოცდილებას, რომელიც შესაძლოა, ნებისმიერმა საგანმა გამოიწვიოს, მათ შორის ბუნების სურათის ცქერამაც.

ბ) ბუდისტური ძენის ესთეტიკა - ღჰამასამი აღნიშნავს, რომ ბუდიზმი დიდად აფასებს ესთეტიურ მშვენიერებას, თუმცა არ განიხილავს მას, როგორც ხსნის

<sup>3</sup> *Oupnekhat* - უპანიშადების სპარსულენოვანი ვერსიის ლათინური თარგმანი. წიგნი, რომელსაც ძალიან აფასებდა შოპენჰაუერი და რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა მის ფილოსოფიაზე. უპნეხატი, თავის მხრივ, შეიცავს ბუდისტურ გავლენებსაც.

საშუალებას (Dhammasami 2011: 51). ეს განცხადება სწორია, რამდენადაც ბუდისტური ხსნის გზები მოცემულია *მართებულ რეამე გზაში* და იქ ნამდვილად არაა მინიშნებული ხელოვნებაზე. შოპენჰაუერისათვის ხელოვნების უმაღლესი ფორმის, მუსიკის, შესახებ, დჰამასამი აღნიშნავს, რომ ბუდაც არ უარყოფდა მუსიკით ტკბობას, თუმცა როდესაც საუბარია მუსიკაზე, როგორც ხსნის გზაზე, ეს სრულებით გამორიცხულია და მუსიკა მტერი ხდება გასხივოსნებისა. ამის დასადასტურებლად დჰამასამის მოჰყავს მონაკვეთი სამიუტა ნიკაიადან, სადაც მოცემულია საუბარი ბუდასა და ტალაპუტას შორის. მოსწავლე ეკითხება მოძღვარს, დაიბადებიან თუ არა შემსრულებლები, რომლებიც დიდ აუდიტორიებს ართობენ, მოცინარ ღმერთთა შორის. ხოლო ბუდა პასუხობს, რომ „ისინი, რომლებიც აღძრავენ მგრძნობელობას სხვებში, ჯოჯოხეთში დაიბადებიან“ (Dhammasami 2011: 56). ცხადია, აქ მივდივართ მუსიკის, ზოგადად ხელოვნების იმ შრესთან, რომელიც ადამიანს სიამოვნებას, ან ტკბობას ჰგვრის, რაც ასკეტური სწავლებისათვის პრობლემურია. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არც შოპენჰაუერი აკეთებს აქცენტს ხელოვნებისაგან მოგვრილ ტკბობაზე, როგორც ხსნის გზაზე. მაშასადამე, აქ შედარებისა და შეპირისპირებისათვის არ გამოდგება გამონათქვამები, რომლებიც გარეგანი, ხილული სამყაროს მიერ მოგვრილ ტკბობას სკეპტიკურად უყურებენ და რაც საერთოა ყველა ასკეტური სწავლებისათვის. მაგალითად, ბუდისტური სწავლება, რომ ფიზიკური თვალი არ უნდა იყოს დამოკიდებული ფიზიკური მშვენიერებისადმი, სრულიად იმეორებს შოპენჰაუერისეულ კონცეფციას დაუინტერესებელი ჭვრეტისა. ხელოვნების ნიმუში აქ არის საშუალება და არა მიზანი. ამ კუთხით, მსგავსება ბუდისტურ დაუინტერესებელ ჭვრეტასა და შოპენჰაუერისეულ კონცეფციას შორის ნამდვილად ცხადია და შესაძლოა, მსგავსი იყოს შედეგიც, მიუხედავად იმისა, რამდენად ღიად შეიძლება საუბრობდეს ამაზე ბუდიზმი.

უნდა განვიხილოთ მაჰაიანას სკოლა და კერძოდ ძენ ბუდიზმი, რომელთანაც დადასტურებული ნაცნობობა ჰქონდა შოპენჰაუერს. დაისეცუ სუძუკი აღნიშნავს, რომ ძენის მთავარი მიზანია ადამიანმა მოიპოვოს ახალი, ჭეშმარიტი ხედვა სამყაროს და საგნებისა (Suzuki 1996: 83). ახალი ხედვის მოპოვება ნიშნავს გასხივოსნებას. გასხივოსნებისაკენ მიმავალ გზას თერავადა ბუდიზმი სხვაგვარად უყურებს, სხვაგვარ, უფრო რთულ სტრატეგიებს სახავს, ხოლო მაჰაიანა სხვაგვარად. იგი

უშვებს უეცარი გასხივოსნების შესაძლებლობას. კონცეფცია ჯერ ჩინურ ჩან ბუდიზმში ჩამოყალიბდა, როგორც *ეჟ*, ხოლო შემდეგ იაპონურ ძენში გადავიდა, როგორც *სატორი*. სუძუკი სატორის ძენისათვის უმნიშვნელოვანეს ადგილს ანიჭებს - „ძენი გამოცალკევებული სატორისაგან, ჰგავს მზეს შუქისა და სითბოს გარეშე. ძენმა შეიძლება დაკარგოს მთელი თავისი ლიტერატურა, მთელი მონასტრები, მოკაზმულობანი; მაგრამ ვიდრე მასში არის სატორი, იგი მარადიულად გადარჩება“ (Suzuki 1996: 84). სატორისათვის ამგვარი მნიშვნელობის მინიჭება იმას უნდა მივაწეროთ, რომ იგი კარგად გამოხატავს თავად ძენის არსს. ეს არის ერთგვარი ინტუიტიური მჭვრეტელობა საგნების არსისა, რომელიც სრულებით განსხვავებულია მათი ლოგიკური თუ ანალიტიკური განსჯის და გაგებისაგან. სუძუკის აღნიშვნით, იგი, ვინც სატორი ერთხელ მაინც გამოსცადა, ვეღარ დაინახავს სამყაროს ისე, როგორც უწინ ხედავდა, არამედ უფრო მართებულ ხედვას მოიპოვებს, რომელშიც ყოველგვარი დუალიზმი და დაპირისპირება გადალახულია და „ჰარმონიზირებულია ერთიან, ორგანულ მთელში“ (Suzuki 1996: 84). შეუძლებელია, რომ ამგვარ კონცეფციასა და შოპენჰაუერისეულს შორის მსგავსება ვერ დავინახოთ. შოპენჰაუერის დაუინტერესებელი მჭვრეტელობაც ხომ სწორედ ამგვარად აუქმებს მოჩვენებით დუალიზმს სუბიექტსა და ობიექტს შორის და აცხადებს საგანთა ჭეშმარიტ არსს, რომ ყოველივე ერთიანია. თუმცა, ცხადია, ამ ერთიანობის საფუძველი იქ ნებაა და ეს, კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, არსობრივ განსხვავებას წარმოადგენს.

ხაზი უნდა გაესვას კიდევ ერთ მსგავსებას, რომ სატორი, როგორც ხსნის საშუალება, ზედაპირულად შესაძლოა ჰგავდეს დასავლურ, ქრისტიანულ ხსნის გაგებას, თუმცა მხოლოდ ზედაპირულად, რამდენადაც ქრისტიანული ხსნის გაგება, წმინდად თეოლოგიური თვალსაზრისით, დაკავშირებულია პიროვნული ღმერთის გაგებასთან, რომელსაც ბუდიზმი არ იცნობს, ხოლო შოპენჰაუერი არ ცნობს.<sup>4</sup>

<sup>4</sup> ეს აერთიანებს ორივე ამ სწავლებას და განასხვავებს ქრისტიანობისაგან. ამას აღნიშნავს დჰამასამიც თავის ნაშრომში, რომ „ყოველგვარი ტანჯვის გასანადგურებლად, ბუდა და შოპენჰაუერი არც ღმერთს სთხოვენ დახმარებას და არც ღმერთებს“ (Dhammasami, 2011: 55). თუმცა შემდგომი მსჯელობა მცდარია, რომ ბუდისტი *ღარწმუნებით* მხოლოდ საკუთარ თავს ეყრდნობა საკუთარი განწყობისათვის, რადგან ინდივიდუალურ პასუხისმგებლობასთან გვაქვს საქმე.

სუძუკის შემოაქვს კიდევ ერთი განმასხვავებელი, ფსიქოლოგიური ასპექტი, რომ ქრისტიანული გაგება ხსნისა დაკავშირებულია ემოციურ-აფექტურ იმპულსებთან, ხოლო ბუდიზმის ზოგადი ტენდენცია უფრო ინტელექტუალურია, ვიდრე ემოციური და სწორედ ამით განსხვავდება *მკვეთრად* ბუდისტური გასხივოსნების დოქტრინა ქრისტიანული ხსნისაგან (Suzuki 1996: 85). სატორი არის არა თვითმიზანი, არამედ საშუალება უკეთესი ცნობიერებისა და ხსნის მოსაპოვებლად. სუძუკი მიუთითებს სატორის რამდენიმე მთავარ მახასიათებელზე:<sup>5</sup>

1. *ირაციონალურობა* - სატორი არის მიღმა ყოველგვარი ინტელექტუალური განსაზღვრებებისა და არ მიიღწევა ამ უკანასკნელით. რთულია მისი ლოგიკური გზით ახსნა და გადმოცემა. თავისი ირაციონალური ბუნებით, იგი ჰგავს შოპენჰაუერის დაუინტერესებელი მჭვრეტელობის ცნებას, რომელშიც ასევე უქმდება ინტელექტის ქმედებები, განსჯა და ინტელექტუალური გაგება.
2. *ინტუიტიური ჭვრეტა* - ესაა ერთგვარი ნოეტური, მისტიკური გამოცდილება, რაც თითქმის ყველა რელიგიას ახასიათებს. სუძუკი აღნიშნავს, რომ მეორე სახელი სატორისა, არის „კენ-შო“, რაც ნიშნავს „დაინახო არსი ბუნებისა“ (Suzuki 1996: 104). თუმცა ეს ასპექტები დანახვის და აღქმისა, არ უნდა აგვერიოს რაიმე სახის ლოგიკურ შემეცნებაში. ბოდჰიდჰარმას თქმით: “იგი [სატორი] არ არის სრული ქრობა; იგი ცოდნაა ყველაზე შესაბამისი სახისა; მხოლოდ სიტყვებით ვერ გადმოიცემა“ (Suzuki 1996: 104).
3. *ავტორიტეტულობა* - ძენში, ისევე როგორც შოპენჰაუერთან, გასაღები სამყაროს არსისა, თავად ადამიანშია მოცემული, მის ღრმა ცნობიერებაში. სატორი სწორედ იმგვარ აღქმის ფორმად გვევლინება, რომელიც შინაგანია და ყველაზე ღრმა ადგილს ეხება ცნობიერებისა. მაშასადამე, ეხება რაღაც ჭეშმარიტს.

---

ამგვარი მსჯელობა თითქოს აუქმებს ინდივიდუალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობას ქრისტიანული ხსნის გზაზე. რაც ამგვარად ნამდვილად არ არის.

<sup>5</sup> სრულად იხ. დასახელებული ნაშრომის ქვეთავი 5. Chief characteristics of *Satori* (103-108), სადაც დ. სუძუკი უფრო ვრცლად განიხილავს ძირითად მახასიათებლებს და 8 პუნქტს გამოყოფს, რომელთაგანაც აქ მხოლოდ ის პუნქტებია განხილული, რომლებიც უშუალო ახლობლობასა და მსგავსებას ავლენენ შოპენჰაუერის ფილოსოფიასთან.

4. *მიღმურობის შეგრძნება* - შეგრძნება, რომელიც ასევე ზოგად-რელიგიურია და რომელიც უსხლტება მგრძნობელის პიროვნულ საზღვრებს, მის მიღმა გადის - „ინდივიდუალური ნაჭუჭი, რომელშიც ასე მკვიდრადაა ჩატედილი ჩემი პიროვნულობა, სატორის მომენტში სკდება“ (Suzuki 1996: 104). ასე ხატონად გადმოსცემს ამ გამოცდილებას სუძუკი და კიდევ ერთხელ გვახსენებს შოპენჰაუერისეულ დაუინტერესებელი ჭვრეტის შედეგად მოგვრილ განცდას, რომელიც არღვევს მოჩვენებითი პიროვნულობის საზღვრებს. ინდივიდუალობა უერთდება რაღაც სხვას, *იღვრება* მასში, რაც არ არის *მე*.
5. *წამიერობა/მეისიერობა* - სატორი ჩნდება როგორც წამიერი გამოცდილება. უფრო მეტიც, სუძუკი ამბობს, რომ თუ ეს გამოცდილება არ არის წამიერი და მოულოდნელი, იგი არც არის სატორი: „ეს უეცარი გამოცდილება სატორისა ერთ წამში (*ეკამუჭურტენა*) ერთბაშად ხსნის ახალ ხედვას და მთელი არსებობა უკვე შეფასებულია სრულიად ახალი კუთხით დაკვირვებისა“ (Suzuki 1996: 108).

ეს უკანასკნელი პუნქტი წამიერობისა, ერთი მხრივ, კიდევ ერთხელ აკავშირებს ამ განცდას იმასთან, რაც არის შოპენჰაუერის დაუინტერესებელი ჭვრეტა და მეორე მხრივ, უშუალო საფუძველს წარმოადგენს ძენის ხელოვნებისა და ესთეტიკისათვის, რომელთაგან ორი უნდა გამოვეყნოთ, მხატვრობა (სუმიე) და პოეზია (ჰაიკუ), რამდენადაც ერთიცა და მეორეც სწორედ ამგვარი მეისიერი მომენტის დაჭერასა და გადმოცემას ცდილობს და ამდენად, ძალზე ახლოსაა სატორისეულ განცდასთან, მაშასადამე გასხვიოსნებასთან თუ ხსნის შეგრძნებასთანაც.<sup>6</sup>

ა. უოტსს, ის, რასაც სუძუკი უწოდებდა მეისიერობას, როგორც სატორის ასპექტს, იყენებს ძენისეული ხელოვნების მიმართაც და უწოდებს სპონტანურობას.

<sup>6</sup> დ. ტ. სუძუკი აღნიშნავს, რომ თავად მასალაც კი ძენისეული სუმიეს მხატვრობისა სწორედ შესაფერისია ამ მიზნისათვის. ქაღალდი, რომელიც სახატავად გამოიყენება, არის უაღრესად თხელი - „მიზეზი თუ რატომ აირჩა ამგვარად სუსტი მასალა შემოქმედებითი შთაგონების მასზე გადატანისათვის არის ის, რომ შთაგონება რაც შეიძლება სწრაფ დროში უნდა გადაიტანოს ხელოვანმა. თუ ფუნჯი დიდხანს დაყოვნდება, ქაღალდი გაიხვრიტება“ (Suzuki 1996: 279). ყოველი შემდგომი ჩარევა, წაშლა თუ გადაკეთება, გამორიცხებულია ამგვარ მხატვრობაში. ამდენად, იგი ერთგვარად ფოტოგრაფიასაც კი ჰგავს მოცემულის მეისიერი აღწერის თვალსაზრისით თუ განვიხილავთ.

ძენის ხელოვნებას არ აქვს მიზანი გარდა იმის წარმოჩენისა, რაც არის აქ და ახლა. და რა არის აქ და ახლა? ეს არის სიცარიელე. ძენის მხატვრობა ხატავს სიცარიელეს, ხოლო ძენის პოეზია „არაფერს ამბობს“ (Watts 1965: 201). თუმცა, ცხადია, ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ სურათზე არაფერია გამოსახული, ხოლო პოეზია უსაზრისო სიტყვებს გადმოსცემს. ძენის ხელოვნება ცარიელია და მიანიშნებს მხოლოდ იმაზე, რასაც წარმოადგენს ოსტატის, შემოქმედის შინაგანი მდგომარეობა. ოსტატი, როგორც სუბიექტი, იკარგება. ის ხდება მთელის ნაწილი, აღმქმელი თვალი, რომელიც მარადიული აწმყოს „ჩაჭერას“ ახერხებს. მეორე მხრივ, ეს ნიშნავს დუალიზმის გადალახვასაც, რაც დასავლურ აზროვნებას და ხელოვნებას შეიძლება ახასიათებდეს. უოტსის განცხადებით, აღმოსავლურ აზროვნებაში დუალიზმი იმთავითვე გადალახულია, რამდენადაც ადამიანი გარესამყაროს ისეთივე ნაწილად მიიჩნევს თავს, როგორც დანარჩენი ბუნებაა; „ამდენად ჩვენი მკაცრი [ე.ი. დასავლური - თ.ლ.] დაყოფა სულის და ბუნებისა, სუბიექტის და ობიექტისა, კარგის და ცუდისა, ხელოვანის და მასალისა, სრულიად უცხოა ამ კულტურისათვის“ (Watts 1965: 194). ეს განცხადება ზედმეტად კატეგორიულად უდერს, თუმცა სიმართლის მარცვალს ნამდვილად შეიცავს.

## დასკვნა

უნდა აღინიშნოს, რომ ხელოვნების გააზრების თვალსაზრისით, შოპენჰაუერი ნამდვილად უფრო ახლოსაა ბუდისტურ ტრადიციასთან, ვიდრე ქრისტიანულთან. არსობრივი მსგავსებანი სახეზეა - მისი დაუინტერესებელი მჭვრეტელობა, რომელიც წამიერად არღვევს *principium individuationis*-ის საზღვრებს და მოგვრილია მშვენიერი ღანდშაფტის ხილვით თუ ხელოვნების ნაწარმოების დანახვით, მსგავსია სატორის მიერ მოგვრილი პიროვნების მიღმა გასვლის შეგრძნებისა. ორივე მათგანში გაცხადებულია პრეტენზია რაღაც არაპიროვნულის, უნივერსალურის და ერთიანის შეგრძნებისა. თუმცა, შოპენჰაუერისათვის პრობლემურია ამ შეგრძნების წამიერობა, რამდენადაც, მისი განცხადებით, განცდის გავლის შემდეგ, გენიოსიც კი უბრუნდება ჩვეულებრივი ადამიანის ცხოვრებას, ხოლო სუძუკი აღნიშნავს, რომ ვინც ერთხელ მაინც განიცადა სატორი, მან უკვე მოიპოვა უკეთესი ცოდნა სამყაროსა და მისი ერთიანობის შესახებ, გასხივოსნდა და იგი აღარასდროს შეხედავს



საგნებს ისე, როგორც აქამდე უყურებდა. საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ შოპენჰაუერის ფილოსოფიურ სისტემაში ხელოვნებას უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება, როგორც ხსნის საშუალებას, თუმცა მაინც ნაკლებ საშუალებას, ხოლო ბუდიზმში სატორი ვლინდება, როგორც უფრო დიდი და მუდმივი მნიშვნელობის მქონე, ვიდრე შოპენჰაუერისათვის დაუინტერესებელი ჭკრეტიტ მოგვრილი ცოდნა იმისა, რომ ყოველივე ერთია. ამასთანავე, მიუხედავად ბუდისტური ფილოსოფიის შოპენჰაუერის ფილოსოფიაზე არსებული ზოგადი გავლენისა, წმინდად ესთეტიკის სფეროში მსგავს პირდაპირ გავლენაზე საუბარი საფუძველს მოკლებულია.

### References / გამოყენებული ლიტერატურა

- ბუაჩიძე 2013: ბუაჩიძე თამაზ, თანამედროვე დასავლური ფილოსოფიის სათავეებთან, გამომცემლობა Carpe Diem, თბილისი.
- App 2014: App Urs, Schopenhauer's Compass, UniversityMedia, Wil.
- Dhammasami 2011: Dhammasami Naw Kham La, The Schopenhauer cure and the four noble truths: a comparative study of Schopenhauer & Buddha perspectives on human Liberation. In N. K. Dhammasami, *Another Way of Looking at Things: A Comparative Study of Schopenhauer and Buddha Perspectives on Human Liberation* (pp. 35-60). Bangkok: Naw Kham La Dhammasami.
- Die Lehre Buddhas 1966: Bukkyo Dendo Kyokai, Tokyo.
- Fleischer 2001: Fleischer Margot, Schopenhauer, Herder Verlag, Freiburg im Breisgau.
- Hanh 1998: Hanh Thich Nhat, The Heart of Buddhas Teaching, Broadway Books, New York.
- Kalupahana 1992: Kalupahana David J., A History of Buddhist Philosophy: Continuities and Discontinuities, University of Hawaii Press, Honolulu.
- Schopenhauer 2009: Schopenhauer Arthur, Die Welt als Wille und Vorstellung, Anaconda Verlag, Köln.
- Schopenhauer 1977: Schopenhauer Arthur, Die beiden Grundprobleme der Ethik, Diogenes Verlag, Zürich.
- Suzuki 1996: Suzuki D.T., Zen Buddhism: Selected Writings D.T. Suzuki, Image Books Doubleday, New York.
- Watts 1965: Watts Allan, The Way of Zen, Pelican Books, New York.